USAID | CAUCASUS
FROM THE AMERICAN PEOPLE

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI)
საქართველოში

ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა საქართველოში

2015 წელი

კვლევა შემუშავდა **"ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI)** მიერ, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **USAID**-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში" **დაფინანსებული პროექტის "ღია მონაცემები: ცვლილებებისა და ინოვაციების წყარო"** ფარგლებში.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

კვლევაზე მუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი

გიორგი კლდიაშვილი

ლევან ჯულაყიძე

გოგა თუშურაშვილი

ქეთა კანდელაკი

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა. გრიბოედოვის ქ. № 3
საქართველო, თბილისი, 0108
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi.ge

სარჩევი

შესავალი 3

პორტალ www.data.gov.ge-ზე განთავსებული ღია მონაცემების მონიტორინგი 5

გამოკითხვა მონაცემთა ბაზების შესახებ 21

საჯარო დაწესებულებებში დაცული მონაცემთა ბაზები 30

- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გზით იდენტიფიცირებული მონაცემთა ბაზები 30
- საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე განთავსებული მონაცემთა ბაზები და რეესტრები 45

ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი 56

დასკვნა 63

რეკომენდაციები 66

შესავალი

ინტერნეტი წარმოადგენს საჯარო სივრცეს თანამედროვე მსოფლიოში, მისი მეშვეობით მთავრობებს აქვთ შესაძლებლობა, რათა უკეთ გაიგონ მოქალაქეთა საჭიროებები და მოთხოვნები. ვირტუალურ სივრცეში, მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისევე როგორც მოახდინონ საკუთარი ბიზნეს იდეების რეალიზაცია. ინფორმაცია უფრო ღირებულია როდესაც ის წარმოადგენს ღია მონაცემს. ღია მონაცემები ხელს უწყობს სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმების განვითარებას, აუმჯობესებს საზოგადოებრივ კეთილდღეობას და საზოგადოებრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

საჯარო სექტორის მონაცემები, ინფორმაციის უდიდესი წყაროა. ევროკომისიის გათვლებით, პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური მოგება, ამ ინფორმაციის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებისას, 140 მილიარდ ევროს აღწევს. ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა ციფრული რუკები, მეტეოროლოგიური, საკანონმდებლო, საგზაო, ფინანსური, ან ეკონომიკური მონაცემები კერძო მეწარმეების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას მომგებიანი ბიზნეს მოდელების შესაქმნელად. ხშირად ამ ინფორმაციის დაგროვება საჯარო სექტორის მიერ ხდება, თუმცა შემდგომ არქივებში ინახება და იმათ ვინც შეიძლება გამოიყენონ, ხელი არ მიუწვდებათ მათზე.

თუკი, ინფორმაცია ღია მონაცემთა ფორმატში ხელმისაწვდომი გახდება, ამით გაუმჯობესდება და განვითარდება მომსახურების სფერო, იქ მომუშავე ადამიანებს შესაძლებლობა მიეცემათ მოახდინონ მონაცემების ინტეგრირება საკუთარ გზამკვლევებთან, გასართობ სერვისებთან, ამინდის ან ფინანსურ პროგნოზებთან. მთავრობებს შეუძლიათ შექმნან შემოსავლის დამატებითი წყარო სახელშეკრულებო პარტნიორობის საფუძველზე, მაგალითად კომპიუტერიზებული გეოგრაფიული მონაცემების (GPS) მომზადება, რომელიც შეიძლება უმტკივნეულოდ ინტეგრირდეს კომპანიების კომერციულ სისტემებში. პირველადი მონაცემები ყველასთვის ხელმისაწვდომის შემთხვევაში ხელისუფლება მიიღებს დამატებით შემოსავლებს, თავისი კომერციული პარტნიორების სპეციფიური საჭიროებების მომსახურების მიწოდებისათვის.

2003 წელს ევროკავშირის მიერ გამოცემული 2003/98/EG დირექტივის თანახმად, დაწესდა მინიმალური პირობები, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს საჯარო ინფორმაციის კომერციული მიზნებით გამოყენება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. დირექტივა ორიენტირებულია მოაგვაროს სპეციფიური სახელშეკრულებო ურთიერთობები საჯარო სექტორის ინფორმაციის მწარმოებლებსა და კერძო სექტორის მომხმარებლებს შორის. უახლესი ცვლილებების თანახმად, აქტი გავრცელდა ახალ ორგანოებზე (მაგ. ბიბლიოთეკები,

მუზეუმები, არქივები), დაწესდა მოსაკრებლის ზღვრული ლიმიტი, ასევე განისაზღვრა მოთხოვნები სამთავრობო ინფორმაციის ციფრულად წაკითხვად ფორმატისთვის.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც. გამჭვირვალობის ეს ეკონომიკური ასპექტები სამაგალითო გახდა ,,ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივისთვის'' (Open Government Partnership Initiative (OGP)), რომლის დეკლარირებული პრინციპებიც იწყება განაცხადით, რომ გამჭვირვალობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, კეთილდღეობას რესურსების ეფექტური გამოყენების გზით, მოსახლეობის ჩართულობასა და ინკლუზიურ განვითარებას. ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გულისხმობს, იმის წარმოჩენას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმისაწვდომ მონაცემებს უკეთესი მმართველობისა და მომსახურების სფეროებში. მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში, ამან შეიძლება დიდად შეუწყოს ხელი პროგრესს და რესურსების გაცილებით ეფექტურად გამოყენებას, როგორიცაა მაგალითად უფრო დიდი პასუხისმგებლობით გაწეული საჯარო ხარჯები, უკეთესი ურბანული მმართველობა, უკეთესი სანიტარიული და საგანმანათლებლო სისტემები და კიდევ სხვა მრავალი საკითხი.

ეფექტური მმართველობის მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით დღეს ფართოდ გამოიყენება მონაცემთა ანალიზის ისეთი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დანაშაულის პრევენცია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების კონტროლი, შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების შემოწმება. მაგ. მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა მონაცემები, რომლის მიხედვითაც კონგოში, მონაცემთა ხელმისაწვდომობამ ბიუჯეტის გამოყენების დაგეგმვის პროცესში, შესამჩნევად გაზარდა საგადასახადო დისციპლინა და ქვეყნის შემოსავლები. შესაბამისად სავარაუდოა, რომ მონაცემების ღიაობა მალევე გახდება უმთავრესი პრიორიტეტი მსოფლიოს ყველა მთავრობისათვის.

ღია მონაცემების (Open Data) კონცეფციას განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ღია მმართველობაში, ისე ელექტრონული მთავრობის თანამედროვე მოდელებში. ამავე დროს, ღია მონაცემების კონცეფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს ღია მონაცემების პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სექტორის მონაცემების გამოქვეყნებას ღია, დამუშავებად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში, რაც მოქალაქეებს, ბიზნესს, მასმედიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული მონაცემებით, მათი გამოყენებით შექმნან აპლიკაციები და ელექტრონული სერვისები და მიიღონ სხვა სახის სარგებელი. ამ კონცეფციის განხორციელების თვალსაჩინო მაგალითებია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის მიერ შექმნილი ღია მონაცემთა პლატფორმა www.data.gov, დიდი ბრიტანეთის ღია მონაცემთა პორტალი www.data.gov.uk, ევროკავშირის ქვეყნების ღია მონაცემთა ერთიანი პლატფორმა open-data.europa.eu. ამავე მიზნით, 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული

პირის „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ შეიქმნა ღია მონაცემთა პორტალი www.data.gov.ge.

2015 წლის 1 სექტემბრიდან ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **USAID**-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში” **ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო პროექტის “ღია მონაცემები: ცვლილებებისა და ინოვაციების წყარო“** განხორციელება, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა წინამდებარე კვლევა - ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა საქართველოში.

პორტალ www.data.gov.ge-ზე განთავსებული ღია მონაცემების მონიტორინგი

საქართველოს საჯარო დაწესებულებები დღეისათვის ფლობენ დიდი ოდენობით ღია მონაცემს, რომელიც დააგროვეს უფლებამოსილების განხორციელებისას, ან მათზე დაყრდნობით ახორციელებენ თავიათ საქმიანობას. სახელმწიფო დაწესებულებებისთვის ღია მონაცემები წარმოადგენს ელექტრონულ ფორმატში სტრუქტურირებული სახით არსებულ ისეთ მონაცემებს, რომელთა გასაჯაროება დასაშვებია და გამოქვეყნება მარტივადაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ყველა სახის საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია ვერ ჩაითვლება ღია მონაცემად, რადგან ღია მონაცემი გულისხმობს ე.წ. ნედლ, პირველად მონაცემს, რომელიც გამოქვეყნებულია ელექტრონული ცხრილის შესაბამის გამოთვლად ფორმატში (მაგ.: CSV, Open XML), ან ხელმისაწვდომია ელექტრონული სერვისის საშუალებით (API). ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ გამოქვეყნებული მონაცემები წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით განახლდეს და ყოველთვის ასახავდეს მოცემული მომენტისათვის არსებულ მდგომარეობას.

ღია მონაცემთა (Open Data) პრინციპები დაფუძნებულია „ღია წყაროების“ პრინციპზე. თავად ტერმინი „ღია წყარო“ (Open Source) მიღებულ იქნა 1998 წელს კალიფორნიის ქალაქ პალო ალტოში კონფერენციის ფარგლებში. ტერმინი, ეხება ღია კოდზე დაფუძნებულ ყველასთვის ხელმისაწვდომ (მათ შორის კომერციული მიზნებისთვის) პროგრამულ საშუალებებს. უკვე, 2007 წლის ოქტომბერში, კალიფორნიაში ქალაქ სებასტოპოლისში გამართულ კონფერენციაზე 30-ზე მეტმა ორგანიზაციამ პირველად ჩამოაყალიბეს სამთავრობო

ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში ხელმისაწვდომობის 8 პრინციპი.[1] კერძოდ, „ღია მონაცემთა მხარდამჭერები“ გამოვიდნენ წინადადებით, რომ სამთავრობო მონაცემები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ღიად, თუ ისინი დააკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

1. **სისრულე** - ყველა საჯარო მონაცემი შეუზღუდავად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. საჯარო მონაცემები არ ექვემდებარებიან კონფიდენციალურობას, უსაფრთხოების ან პრივილეგირებულ შეზღუდვას;

2. **პირვანდელობა** - მონაცემები პირველწყაროდან უნდა იყოს აღებული და ისევე დეტალურად უნდა გამოქვეყნდეს, როგორც შეგროვდა. მონაცემები არ უნდა იყოს გადამუშავებული ან დაჯგუფებული სხვა დოკუმენტაციასთან;

3. **დროულობა** - მონაცემი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მაქსიმალურად სწრაფად, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი პირველადი ღირებულება;

4. **ხელმისაწვდომობა** - მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლების ფართო წრისთვის და მომხმარებელთა მიზნების მაქსიმალური რეალიზაციისთვის;

5. **კომპიუტერული დამუშავება** - მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ფორმატითა და სტრუქტურით, რომელიც შესაძლებელს გახდის მათ ავტომატიზირებულ დამუშავებას;

6. **არა-დისკრიმინაციული** - მონაცემები ხელმისაწვდომია ყველასთვის, რეგისტრაციისა და სხვა ტექნიკური შეზღუდვების გარეშე;

7. **ღია ფორმატი** - მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთ ფორმატებში, რომელზეც არავის აქვს ექსკლუზიური კონტროლი;

8. **ლიცენზიისგან თავისუფალი** - მონაცემებზე არ ვრცელდება ინტელექტუალურ საკუთრების, საავტორო უფლებების, პატენტების თუ საფირმო ნიშნების დაცვის წესები. მხოლოდ, განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა შენარჩუნდეს მონაცემთა კონფიდენციალურობა, უსაფრთხოება და პრივილეგირებული შეზღუდვა.

აღნიშნულ 8 პრინციპს 2010 წელს დაემატა კიდევ 2 პრინციპი, რომელიც შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული:

9. **მუდმივობა** - უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამოქვეყნებული მონაცემების მუდმივი ხელმისაწვდომობა. მონაცემები შესაბამის კატალოგებში უნდა იქნეს შეტანილი,

[1] 8 Principles of Open Government Data - http://opengovdata.org

მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საძიებო სისტემებში ან ონლაინ არქივების მეშვეობით;

10. **გამოყენების ხარჯები** - მონაცემებზე ხელმისაწვდომობისთვის დაწესებული უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე საფასური ან მოსაკრებელი.

შეიძლება ითქვას, რომ სებასტოპოლის შეთანხმება და პრინციპები აწესებს საჯარო სექტორის მონაცემებზე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომის სტანდარტებს. თუმცა, აღნიშნული პრინციპები, რა თქმა უნდა, არ არის სავალდებულო ან გამყარებული საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. მათი უნივერსალურობის მიუხედავად, ზოგიერთი მთავრობა მოქმედებს სხვა ჩარჩო დოკუმენტების მიხედვით. მაგალითად, შეერთებული შტატების ფედერალური ხელისუფლება ღია მონაცემთა პოლიტიკის დანერგვისას გარკვეულწილად ხელმძღვანელობს, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საინფორმაციო ტექნოლოგიების მთავარი ოფიცერის ვივეკ კუდრას (Vivek Kundra) მიერ განსაზღვრულ ათი პრინციპით[2]. 2012 წლის ივნისში, გაერთიანებული სამეფოს საჯარო სექტორის გამჭვირვალობის საბჭომ გამოაქვეყნა საჯარო მონაცემთა პრინციპები, რომლიც გახდა სახელმძღვანელო დოკუმენტი საჯარო სექტორისათვის მონაცემთა ღიაობის შესახებ დიდ ბრიტანეთში.[3]

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დღეის მდგომარეობით არ არსებობს რაიმე უნივერსალური და შეჯერებული პოლიტიკის დოკუმენტი ან საერთაშორისო შეთანხმება ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობის პროცესის რეგლამენტაციისთვის. შესაბამისად, იმისთვის, რომ ჩვენ ჩაგვეტარებინა საქართველოში შექმნილი ღია მონაცემთა პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მონიტორინგი, IDFI-იმ შეიმუშავა სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებული იქნა როგორც არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების, ისე სხვადასხვა მოწინავე მთავრობების მიერ ღია მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტანდარტებზე. ღია მონაცემთა ზემოთ მოყვანილი დოკუმენტების საფუძველზე ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მონაცემების ღიაობისა და ხელმისაწვდომობის 11 პრინციპი, რომელსაც დაეყრდნო ჩვენი შეფასების მეთოდოლოგია.

1. **სისრულე** - გამოქვეყნებული მონაცემები უნდა იყოს იმდენად სრული, რამდენადაც ეს შესაძლებელია და უნდა ასახავდეს მთლიანად მოცემულ კონკრეტულ საკითხს. გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

[2] **Vivek Kundra's 10 Principles for Improving Federal Transparency** - http://oversight.house.gov/hearing/transparency-and-federal-management-it-systems

[3] **United Kingdom's Public Data Principles** - http://data.gov.uk/library/public-data-principles

საქმე ეხება პერსონალურ მონაცემებს. მეტამონაცემები, რომელიც განსაზღვრავს და განმარტავს მონაცემებს უნდა იყოს ჩართული ფორმულირებაში და უნდა განმარტავდეს, თუ როგორ იქნა მიღებული მონაცემები დამუშავებული. აღნიშნული სტანდარტის გათვალისწინება მისცემს შესაძლებლობას მომხმარებლებს, მონაცემების შინაარსის ღრმად და დეტალურად გაგებისა.

2. **პირვანდელობა** - ღია მონაცემები უნდა წარმოადგენდნენ ინფორმაციის პირველწყაროს. ეს მოიცავს მონაცემების უტყუარობის დასაბუთებას და დეტალებს თუ როგორ იქნა მონაცემები შეგროვებული. აღნიშნული მისცემს მომხმარებლებს საშუალებას გადაამოწმონ, რომ გამოქვეყნებული მონაცემები შეგროვებულ იქნა სათანადო წესით.
3. **დროულობა** - გამოქვეყნებული ღია მონაცემები უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის დროულად. როდესაც ეს შესაძლებელია, შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური მონაცემები უნდა გავრცელდეს მყისიერად. ინფორმაცია მალფუჭებადი პროდუქტია, შესაბამისად პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ისეთი მონაცემების გამოქვეყნებას, რომელთა ეფექტურად გამოყენების დრო შეზღუდულია. მხოლოდ რეალურ დროში განახლებადი ინფორმაციით, მიიღებს საზოგადოება მაქსიმალურ სარგებელს კონკრეტული მონაცემებიდან.
4. **გამარტივებული ფიზიკური და ელექტრონული წვდომა** - საჯარო სექტროის ღია მონაცემები უნდა იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი. ხელმისაწვდომობა ნიშნავს, რომ ნებისმიერ ინფორმაციაზე წვდომა უნდა იყოს შესაძლებელი მარტივად, როგორც ფიზიკურად ასევე ელექტრონული სახით. ბარიერი ფიზიკური ხელმისაწვდომობისას მოიცავს მოთხოვნებს, როდესაც მომხმარებელი პირადად უნდა ეწვიოს კონკრეტულ უწყებას ინფორმაციის მისაღებად ან მოთხოვნებს როდესაც საჭიროა კონკრეტული პროცედურების გავლა (მაგ: როგორიც არის სხვადასხვა ფორმების შევსება). ბარიერი ელექტრონული წვდომისას გულისხმობს, როდესაც მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ კონკრეტულად წარმოდგენილი ფორმების და სისტემების სახით, რომლებიც საჭიროებენ ბრაუზერზე ორიენტირებულ ტექნოლოგიებს (მაგ: Flash, JavaScript, cookies და Java აპლეტები). ზემოთქმულიდან გამომდინარე, განვითარებული უნდა იყოს მომხმარებლის ინტერფეისი, ისე რომ მას ჰქონდეს ერთდროულად კონკრეტულ მონაცემთა ბაზაზე წვდომისა და მასში შენახული მთლიანი ინფორმაციის ჩამოტვირთვის საშუალება (ეს ცნობილია, როგორც "bulk" წვდომა). აგრეთვე მონაცემებზე ხელმისაწვდომობა უნდა იყოს შესაძლებელი API (Application Program Interface) საშუალებით.
5. **დამუშავებადი ფორმარტი** - ღია მონაცემების ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი არის ის, რომ მომხმარებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დაეყრდნონ არა მთავრობის მიერ წარმოებულ ანალიზს, არამედ ჩაატარონ საკუთარი ანალიზი. ამ მთავარი

პრინციპის მიზანს სჭირდება დამატებით განმარტებები.[4] დამუშავების პრინციპი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მონაცემთა მოცულობის თანდათან ზრდასთან

[4] გადამუშავების პრინციპი განაპირობებს მონაცემის ფორმატის არჩევანს. „Free-form text"-ი (თავისუფალი-ფორმატის ტექსტი) არ არის ცხრილური და ნორმალური ჩანაწერის შემცვლელი, ასევე ტექსტის ამსახველი სურათები არ არის თვითონ ტექსტის შემცვლელი, მაგრამ ის ასევე განაპირობებს, თუ როგორ მოიხმარება ესა თუ ის ფორმატი. როდესაც დოკუმენტს აქვეყნებ მნიშვნელოვანია თავიდან აირიდო ამობეჭდილი დოკუმენტების სკანირებული სურათები, მიუხედავ იმისა, რომ სკანირებული სურათები შეიძლება იყოს ასახული PDF-ში და სწორედ PDF-ი არის რეკომენდირებული ფორმატი კონკრეტული მონაცემის კატეგორიებისთვის. სკანირებული სურათი არის არასაიმედო წარმომადგენელი იმ ტექსტისა, რომელიც მასზეა ასახული. განრიგის RSS-ის ან „Atom feed"-ის ფორმატები საიმედოდ შიფრავენ დროსა და თარიღებს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფენ ადგილსამყოფელის ან საგნის (თემის) შესახებ ინფორმაციას, რომელიც კომპიუტერისთვის იქნება აღსაქმელი. თუ ეს მონაცემებია მნიშვნელოვანია, მაშინ მიმაგრებული უნდა იყოს დამატებით XML, რომელიც ამ მონაცემებს გადაამუშავებს. XML არის ყველაზე მორგებადი მონაცემთა ფორმატი.

მონაცემთა მანქანურად გადამუშავება იმთავითვე გულისხმობს მონაცემის სისუფთავეს. ყველაზე პატარა შეცდომასაც კი შეუძლია რადიკალურად გაზარდოს მონაცემთა მოხმარების საფასური, რადგანაც შეცდომის გამოსწორებას თითქმის ყოველთვის სჭირდება ადამიანური ჩარევა, რადგან კომპიუტერი უკვე ვეღარ გადაამუშავებს დაზიანებულ მონაცემს. აქ არ იგულისხმება მონაცემთა სისწორე. მოპოვებული მონაცემი, მაგ. გამოკითხვა ან გაზომვა შეიძლება იქნეს შეცდომით მოპოვებული და გამოუსწორებელი მონაცემს შეიცავდეს. მონაცემის სისუფთავეში იგულისხმება ფორმატზე სწორ მორგებას და ნორმალურ პროგრამირებას. ფაილის ფორმატის არჩევა ხდება იმის გათვალისწინებით თუ რამდენად ხელმისაწვდომია და რამდენად შეიძლება მისი გადამუშავება. ცხრილურ მონაცემების შემთხვევაში, როგორიცაა ელექტრონული ცხრილები, CSV (მძიმეებით დაშორებული ციფრები) ყველაზე მიღებული ფორმატია. ის უბრალოდ ტექსტის შემცველი ფაილია, რომელშიც მძიმეები გამოყოფენ რიგებს. სწორედ ცხრილურ მონაცემებში უმნიშვნელოვანესია სიმარტივე. არ არსებობს ერთი სწორი პასუხი შეკითხვაზე თუ რომელია შესაფერისი ფაილის ფორმატი კონკრეტული მონაცემისთვის, რადგან გასათვალისწინებელია ორი ერთმნიშვნელოვანი მოთხოვნა: ფაილის ფორმატი საბეჭდად მზად უნდა იყოს (მაგ. გვერდებად დანომრილი, ანკეტის სქემას უნდა შეესაბამებოდეს) და ამავდროულად მონაცემს მანქანურად გადამუშავების შესაძლებლობა უნდა ქონდეს. PDF-ის ფორმატი ყოველთვის არის საბეჭდად მზად (PDF/A-1b არის სპეციფიური მინიმუმი მოთხოვნა, რათა დოკუმენტი დაარქივდეს), მაგრამ PDF-ი, როგორც წესი, დოკუმენტში მოთავსებულ ინფორმაციის მანქანურად გადამუშავების შესაძლებლობას არ იძლევა. ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია დოკუმენტი დამახსოვრდეს ერთდროულად ორ სხვადასხვა ფორმატში, ერთხელ PDF-ის ფორმატში, რათა დაკმაყოფილდეს საბეჭდი მოთხოვნილება და ერთხელ ისეთ ფორმატში, როგორიცაა XHTML ან XML. მიუხედავად იმისა, რომ PDF-ის ფორმატი თავდაპირველად მესაკუთრეობრივი უფლების განმსაზღვრელი იყო, შემდეგ უკვე სტანდარტებმა ჩაანაცვლა იგი და ღია, არა-მესაკუთრეობრივი ფორმატად იქცა. Microsoft Office Word-ის ფაილის ფორმატი და OpenOffice OpenDocument-ის ფორმატი არის ორივე საბეჭდად მზად, მსგავსად PDF-ის, მაგრამ დამატებით ასევე იძლევიან საშუალებას მოხდეს ტექსტის სანდო ექსპორტი. სწორედ ამიტომ განიხილება ეს ორი ფორმატი უფრო ახლოს ღია სამთავრობო მონაცემთათვის ვიდრე PDF-ის ფორმატი. მიუხედავად ამისა, არც PDF-ი, არც Word-ი და არც OpenDocument-ი წარმოადგენს XML ფორმატში წარმოდგენილ ღია მონაცემების შემცვლელს.

ერთად, ყველაზე საინტერესო, ინფორმაციული ან ინოვაციური სამთავრობო მონაცემთა აპლიკაციები საჭიროებს კომპიუტერული ძიების, დახარისხების, სხვა ფორმატებში ტრანსფორმაციის მექანიზმებს. ზოგჯერ სამთავრობო მონაცემები იმ მონაცემთა კატეგორიაში ხვდება, რომელსაც შესაფერი, სტანდარტული მონაცემთა ფორმატი და შესაბამისი აპლიკაცია აქვს. ცხრილური მონაცემი, მაგ. დანახარჯების მონაცემი, შეიძლება დამახსოვრდეს ელექტრონული ცხრილის ფორმატში (მაგ. Microsoft Excel ან CSV ფორმატი). ასეთ ფორმატში არსებული მონაცემები, იმავე ინფორმაციის დასკანერებულ ვერსიებთან შედარებით უფრო სანდოა და დამარწმუნებელია. პროგრამისტებმა იციან, თუ როგორ შექმნან პროგრამები, რომლებიც იმუშავებენ საიმედოდ რიცხვებთან რიგებში და მწკრივებში. ინფორმაციის დასკანერებული სურათით მუშაობისას კი სანდოობა იკარგება. როდესაც მონაცემთა ურთიერთქმედება იერარქიულადაა მოწყობილი და არა ცხრილის სახით, მაშინ საჭიროა მოხდეს XML ფორმატის გამოყენება, მაგ. უწყების დეპარტამენტის ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც იერარქიულია და ელექტრონულ ცხრილის ფორმატში კარგად ვერ ჯდება.

6. **ღია ფორმატი** - მონაცემები უნდა იყოს ხელმისაწვდომი ისეთ ფორმატში რომელზეც არავის არ ექნება ექსკლუზიური განკარგვის უფლება. ოფიციალური კუთვნილების ფორმატში გამოქვეყნებულ მონაცემებს ხანდახან აქვთ გარკვეული შეზღუდვები. ეს შეზღუდვებია თუ როგორ უნდა იქნას მონაცემები გამოყენებული და გავრცელებული, აგრეთვე შესაძლებლი იქნება თუ არა მათი მომავალში გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ არაფერია ცუდი მონაცემების გავრცელებაზე ექსკლუზიური უფლებისა, სამთავრობო საკუთრების ფორმატები პრობლემურია და არასასურველია, რადგანაც ღია მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი თუ ის არ არის ღია ყველასთვის. ღია ფორმატში გამოქვეყნებულ მონაცემებს აქვს მრავალი აპლიკაციის ფართო მხარდაჭერა და გამოიყენება ფართო სპექტრის მომხმარებლების მიერ საკუთარი მიზნებისათვის.
7. **არა-დისკრიმინაციულობა** - ნიშნავს იმას, თუ როგორ განვსაზღვროთ ვის ექნება წვდომა მონაცემებზე და როგორ უნდა იქნას გამოყენებული მონაცემები ბარიერების გარეშე. ბარიერი შეიძლება მოიცავდეს რეგისტრაციის ან წევრობის მოთხოვნას. ბარიერი რომელიც ასევე შეიძლება წარმოიქმნას, არის ის, რომ მხოლოდ განსაზღვრულ აპლიკაციებს ჰქონდეთ წვდომა მონაცემებზე. ზოგადად, არა-დისკრიმინაციული წვდომა მონაცემებზე ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს წვდომა მონაცემებზე ისე, რომ არ მოახდინოს თავისი თავის იდენტიფიცირება და ამის გამო არ დაეკისროს პასუხისმგებლობა.
8. **ლიცენზიისგან თავისუფალი** - სერვისის პირობების საფასურის დადგენის პროცედურები, კომპეტენციის მიკუთვნების პირობები, გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და ა.შ. წარმოადგენენ ბერკეტებს მონაცემთა საჯარო მოხმარებისთვის. მაქსიმალური ღიაობა მოიცავს საჯარო ინფორმაციის ნათლად მარკირებას, როგორც ღიას შეუზღუდავი გამოყენებისთვის.

9. **პერმანენტულობა (მუდმივობა)** - ღია მონაცემებზე წვდომა უნდა იყოს სტაბილური განუსაზღვრელი დროით. მუდმივი ვებ მისამართი უზრუნველყოფს იმას, რომ მომხმარებელმა გაავრცელოს ინფორმაცია წყაროს მითითებით. მუდმივი მისამართები განსაკუთრებით სასარგებლოა ოფიციალურ სამთავრობო ვებ-გვერდებისა და ელექტრონული რესურსებისთვის.[5] დროთა განმავლობაში, მონაცემების ცვლილებისას უნდა იქნას გათვალისწინებული შემდეგი 1) ყველა გამოქვეყნებული მონაცემების ასლები უნდა იქნეს შენარჩუნებული 2) შენარჩუნებული უნდა იყოს სტაბილურობა ფორმატის ცვლილების ვერსიიდან ვერსიამდე. ხოლო ფორმატის ცვლილებისას უნდა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი: ჯერ შეტყობინება და შემდეგ განახლება.
10. **კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების დაცვა** - ღია მონაცემებთან დაკავშირებით უნდა შეგროვდეს და კორექტირებულ იქნას შეცდომები. გამოქვეყნებული ღია ინფორმაციის დაცულობა ამაღლებს საზოგადოების ნდობას, ჩართულობის დონეს, კონფიდენციალურობას და იცავს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ღია მთავრობა არ უნდა ნიშნავდეს დაუცველობას.
11. **წარმოშობის წყარო და სანდოობა** - საინფორმაციო გამოთვლითი სისტემები და ღია კომპიუტერულ ქსელებში ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების პროცესები მოითხოვენ დაცვას არასანქცირებული ჩარევისაგან. რა თქმა უნდა ინფორმაციის დაცვა არასანქცირებული წვდომისა თუ მისი განადგურებისაგან, ყოველთვის იყო აქტუალური პრობლემა, მაგრამ ის ტექნოლოგიები რომლებიც გამოიყენებოდა ამ მიზნით, როდესაც ინფორმაციის მატარებელი იყო ქაღალდი, დღეს უკვე აღარაა საკმარისი, რადგანაც აღმოჩნდა, რომ ციფრული სახით წარმოდგენილი ინფორმაციის მიტაცება, განადგურება, თუ წინასწარი განზრახვით დამახინჯება, გაცილებით იოლია, ვიდრე ქაღალდზე შენახული ინფორმაციის. აქედან გამომდინარე გამოქვეყნებული კონტენტი უნდა იყოს ელექტრონულად/ციფრულად ხელმოწერილი ან მოიცავდეს მითითებას გამოქვეყნების / შექმნის თარიღზე, ნამდვილობასა და მთლიანობაზე.[6]

---

[5] მაგალითად, ამერიკული ასოციაცია Law Libraries Principles მუდმივ მისამართებს უწოდებს PURL მისამართებს. PURL მისამართები არის მოკლე URL მისამართები, რომელიც შეიძლება განახლდეს დროის ნებისმიერ მომენტში და რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოხდეს გადამისამართება კონკრეტულ რესურსზე.

[6] ელექტრონული/ციფრული (Digital Signature - DS) ხელმოწერა ეწოდება ღია ტექსტზე (შეტყობინებაზე) კრიპტოგრაფიული გარდაქმნის მეშვეობით გარკვეული ციფრული ჩანაწერის (ხელმოწერის) მიბმას, რომელიც საშუალებას აძლევს მიმღებ მხარეს, შეამოწმოს ტექსტის ნამდვილობა (აუტენტიფიკაცია).

ზემოთაღნიშნული პრინციპების საფუძველზე, პროექტის კვლევითმა ჯგუფმა შეაფასა პორტალ data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ყველა (117) ღია მონაცემი, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი სურათი: **საიტზე გამოქვეყნებული ღია მონაცემები, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების 78.8%-ს პასუხობს. განვიხილოთ ყველა ღია მონაცემის თითოეულ პრინციპთან შესაბამისობის შედეგი.**

1. **სისრულე** - გამოქვეყნებული მონაცემების 46.1% აკმაყოფილებს N1 პრინციპს სრულად, ხოლო 44.5% ნაწილობრივ. გამოქვეყნებული ღია მონაცემების მხოლოდ 9.4% ვერ აკმაყოფილებს N1 პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ ინფორმაცია გადმოცემულია არასრული სახით. მაგ: სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემი - სემინარების ციკლი ინგლისურ ენაში, მომხმარებელს ვერ უზრუნველყოფს სრული ინფორმაციით მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამის მიმდინარეობის შესახებ.

4		
5	მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების (ტრენინგების) პროგრამა	
6		
7		
8	სემინარების ციკლი ინგლისურ ენაში	
9		
10		
11	სემინარის დასახელება	სემინარზე დამსწრე მასწავლებელთა რაოდენობა
12	Increasing Classroom Interactions	249
13	Principal of written English	86
14	საკლასო ოთახის იწტერაქცია	13
15	საკლასო ოთახზე დაკვირვება როგორც უწყვეტი პროფესიული განვითარების შემადგენელი ნაწილი;	
16	ავთენტური მასალის გამოყენება"	79
17	Communicative Activities	107
18	Grammar games/technology and teaching	17
19	Listen/speaking yong learners	12
20	Methodology	14
21	Methodology/writting	25
22	Risk taking skills in english language learning	16
23	Rocking the Classroom with American Rhythms	8
24	Shaping the way we teach english	53
25	Teaching english to young learners reading and writting	18
26	Writting	52
27	მოსწავლეები და ტესტირება	23
28	მუშაობა წყვილებში და ჯგუფებში	24
29		

N1 პრინციპს სრულად აკმაყოფილებს მაგ: საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემი - ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ჩამონათვალი, რადგან წარმოდგენილი ინფორმაცია არის მაქსიმალურად სრული (მითითებულია რეგისტრაციის ნომერი; საფირმო სახელწოდება; სამართლებრივი ფორმა; სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი; ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ადგილსამყოფელი: რეგიონი, ქალაქი, მისამართი).

	A	B	C	D	E	F	G	H	I
1	საქართველოში რეგისტრირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ჩამონათვალი								30.11.2015
2					სამართლებრივი აქტის		ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ადგილსამყოფელი		
3	№	რეგისტრაციის №	საფირმო სახელწოდება	სამართლებრივი ფორმა	№	თარიღი (დღე, თვე, წელი)	რეგიონი	ქალაქი	მისამართი
22	19	02-1/0023	ამირან მსხალამე	იხდ. მეწარმე		15.02.2001	აჭარა	ბათუმი	ჭავჭავაძის ქ.N12
23	20	01-1/0161	ანდრო ჟვანია	იხდ. მეწარმე		10.04.2001	თბილისი	თბილისი	ათონელის 11
24	21	01-2/0074	იბერია	შპს		24.07.2001	თბილისი	თბილისი	მ წინამძღვრიშვილის 133
25	22	02-1/0031	თამაზ მალაყმაძე	იხდ. მეწარმე		12.10.2001	აჭარა	ბათუმი	ჭავჭავაძის 17
26	23	01-2/0076	თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი	სს		19.11.2001	თბილისი	თბილისი	გულიას 1
27	24	03-1/0021	ჯემალ იობიძე	იხდ. მეწარმე		19.04.2002	იმერეთი	ქუთაისი	ქ. ქუთაისი, ფალიაშვილის ქ. N
28	25	01-2/0087	გეიმა ყოფილი დედოფალა	შპს		29.07.2002	თბილისი	თბილისი	კ გამსახურდიას გამზ 2
29	26	03_1/0027	ტარიელ რობაქიძე	იხდ. მეწარმე		21.11.2002	იმერეთი	ქუთაისი	ჭავჭავაძის 53ა
30	27	0420031	გიორგი სინაურიძე	იხდ. მეწარმე		12.02.2003	იმერეთი	ქუთაისი	ფალიაშვილის 21
31	28	0120463	ლარინა აგაკანოვა	იხდ. მეწარმე		17.06.2003	თბილისი	თბილისი	ვაჟა-ფშაველას გამზირი 52
32	29	0120507	ჯემალ კეკელია	იხდ. მეწარმე		22.12.2003	თბილისი	თბილისი	კახეთის გზატკეცილი ლილოს 2
33	30	0420039	კონსტანტინე კანკამე	იხდ. მეწარმე		25.03.2004	იმერეთი	ქუთაისი	წმინდა ნინოს 4
34	31	0220091	ზურაბ მაინიძე	იხდ. მეწარმე		10.06.2004	აჭარა	ბათუმი	ჭავჭავაძის 17

list

Ready 100%

2. პირვანდელობა - საიტზე გამოქვეყნებული ყველა (117) ღია მონაცემის 85.5% აკმაყოფილებს N2 პრინციპს სრულად (100%-ით), ხოლო დანარჩენი 14.5% საერთოდ ვერ აკმაყოფილებს. მაგ: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემი პოლიტიკური პარტიების შემოწირულობების შესახებ, ცალკეული პოლიტიკური პარტიის დასახელებით, პორტალზე არსებული ჩანაწერით არ წარმოადგენს პირველად წყაროს.



N2 პრინციპს მაგ. სრულად აკმაყოფილებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემი, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნოტარიუსთა საკონტაქტო მონაცემების შესახებ.



3. **დროულობა** - დროულობის თვალსაზრისით გაანალიზებული data.gov.ge საიტზე არსებული ღია მონაცემების 54.7% არ აკმაყოფილებს N3 პრინციპს, 37.6% ნაწილობრივ აკმაყოფილებს, ხოლო 7.7% სრულად აკმაყოფილებს. მაგ: მონაცემი რომელიც ვერ აკმაყოფილებს N3 პრინციპს, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემი - ადგილობრივი თვითმმართველობების სამართლებრივი აქტები - ბრძანებების ნუსხა (აქტების სახელწოდებების მითითებით) გამოქვეყნებულია 2014 წლის 5 დეკემბერს და განახლების პერიოდად არის მითითებული 1 თვე, თუმცა მონაცემები არ განახლებულა.



ასევე ზოგიერთი მონაცემის განახლების პერიოდი განუსაზღვრელია, მაგ: სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემი სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ გამოყენებითი კვლევებისთვის.



ხშირ შემთხვევაში გამოქვეყნებული ღია მონაცემის განახლების პერიოდი არის დარღვეული. ეს ნიშნავს იმას, რომ მონაცემები განახლება მოხდა, მაგრამ მითითებული განახლების პერიოდის დროზე გადაცილებით. მაგ: საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემი, საქართველოს ეროვნულ არქივში დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ გენდერულ ჭრილში, თანამდებობის მითითებით.



N3 პრინციპს სრულად აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემი კომერციული ბანკების მიერ ნაყიდი აშშ დოლარის შესახებ 2010–2015 წლების მდგომარეობით.



4. **გამარტივებული ფიზიკური და ელექტრონული წვდომა** - საიტზე გამოქვეყნებული ყველა 117 ღია მონაცემი სრულად (100%-ით) აკმაყოფილებს N4 პრინციპს.

5. **დამუშავებადი ფორმატი** - საიტზე გამოქვეყნებული ყველა 117 ღია მონაცემიდან ვერცერთი ვერ აკმაყოფილებს N5 პრინციპს. ძირითად პრობლემას წარმოადგენს ღია მონაცემების მხოლოდ ერთ ფორმატში გამოქვეყნება, აგრეთვე რიგ შემთხვევებში გამოქვეყნებული მონაცემი ჩაწერილია ისე რომ დეველოპერის ჩარევის და დოკუმენტის კორექტირების გარეშე შეუძლებელია მისი აპლიკაციაზე მორგება. მაგ: საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემი, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნოტარიუსთა საკონტაქტო მონაცემების შესახებ ისეთ ფორმატით იყო გამოქვეყნებული, რომ ინფორმაციის google map-ზე მიბმა შეუძლებელი აღმოჩნდა გარკვეული ხელოვნური ჩარევის გარეშე. აგრეთვე ხშირ შემთხვევაში გამოქვეყნებული მონაცემი ჩაწერილია ისე, რომ მანქანური ენისთვის შეუთავსებელია. data.gov.ge საიტზე გამოქვეყნებული ყველა ღია მონაცემი წარმოდგენილია მხოლოდ ერთ ფორმატში, როდესაც შესაძლებელია გასაჯაროებული ღია მონაცემების სხვადასხვა ფორმატში გამოქვეყნება, რის შედეგადაც გაიზრდება ინფორმაციის გამოყენების ღირებულება და გაადვილდება მისი გამოყენება. ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ N5 პრინციპში დეტალურად არის ასახული ამ პრობლემის აღმოფხვრის შესაძლებლობა

6. **ღია ფორმატი** - საიტზე გამოქვეყნებული ყველა 117 ღია მონაცემი სრულად (100%-ით) აკმაყოფილებს N6 პრინციპს.

7. **არა-დისკრიმინაციულობა** - საიტზე გამოქვეყნებული ყველა 117 ღია მონაცემი სრულად (100%-ით) აკმაყოფილებს N7 პრინციპს.

8. **ლიცენზიისგან თავისუფალი** - საიტზე გამოქვეყნებული ყველა 117 ღია მონაცემი სრულად (100%-ით) აკმაყოფილებს N8 პრინციპს.

9. **პერმანენტულობა (მუდმივობა)**- საიტზე გამოქვეყნებულ ყველა 117 ღია მონაცემიდან არცერთში არ არის გათვალისწინებული პრინციპი N9. მაგალითად, არსად არის მითითებული გამოქვეყნებულ მონაცემებზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის პირდაპირი Web მისამართები, არ ჩანს გამოქვეყნებულ მონაცემებში ცვლილებების და განახლებების შეტანის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია და სხვა. ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ N9 პრინციპში დეტალურად არის აღწერილი ამ პრობლემის აღმოფხვრის შესაძლებლობა.

10. **კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების დაცვა** - საიტზე გამოქვეყნებული ყველა 117 ღია მონაცემი სრულად (100%-ით) აკმაყოფილებს N10 პრინციპს.

11. **წარმოშობის წყარო და სანდოობა** - საიტზე გამოქვეყნებულ ყველა 117 ღია მონაცემიდან არცერთში არ არის გათვალისწინებული პრინციპი N11. პრობლემას წარმოდგენს წარმოშობის წყაროს დადასტურების (ციფრული ხელმოწერის) არ არსებობა. ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ N11 პრინციპში დეტალურად არის აღწერილი ამ პრობლემის აღმოფხვრის შესაძლებლობა.

მონიტორინგის ზემოთ მოყვანილი შედეგების გათვალისწინებით გვაქვს იმის თქმის საფუძველი, რომ საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა პორტალზე „ღია მონაცემები“-ის გასაჯაროებისა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია იქიდან, გამომდინარე, რომ პორტალმა უზრუნველყოს დეველოპერები, კომერციული ორგანიზაციები თუ სფეროს ექსპერტები ისეთი მონაცემების ხელმისაწვდომობით, რაც აუცილებელია ბიზნეს და კვლევითი პროექტების დაგეგმვისა თუ სპეციალური აპლიკაციების შექმნისათვის. ღია მონაცემების პორტალი მოქალაქეებს, ბიზნესს და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას უნდა აძლევდეს არა მხოლოდ გაეცნონ სახელმწიფო მონაცემებს, არამედ მათი გამოყენებით შექმნან ინოვაციური აპლიკაციები, ბიზნეს-პროექტები და ელექტრონული სერვისები.

აღნიშნულისთვის განვიხილოთ ღია მონაცემების სხვადასხვა უცხოური პორტალი, რომელიც განკუთვნილია ღია მონაცემებისა და შესაბამისი მეტა-მონაცემების გამოსაქვეყნებლად.

კონკრეტულად განვიხილოთ აპლიკაციები რომლებიც შექმნილია პორტალზე გამოქვეყნებული ღია ინფორმაციის ადვილად და ინტერაქტიულად სამართავად და რომელთა მეშვეობითაც ბიზნეს შესაძლებლობების რეალიზება უფრო მარტივი და მოხერხებულია.

DATA.GOV.UK - დიდი ბრიტანეთის ღია მონაცემების პორტალზე დღეის მდგომარეობით გამოქვეყნებულია 24 981 მონაცემთა ბაზა. გამოქვეყნებული ღია მონაცემების ბაზების საფუძველზე შექმნილია 386 აპლიკაცია. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ პორტალზე განთავსებული ერთ-ერთი აპლიკაცია, ლონდონში გადატვირთული საგზაო მოძრაობის შესახებ. რომელიც უზრუნველყოფს დედაქალაქის მასშტაბით დამონტაჟებული 700-ზე მეტი ვიდეოკამერით დაფიქსირებული გადატვირთული გზების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას.



DATA.GOV - აშშ-ს ღია მონაცემების პორტალზე დღეის მდგომარეობით გამოქვეყნებულია 191 668 მონაცემთა ბაზა. პორტალზე გამოქვეყნებული ბაზების საფუძველზე ხელმისაწვდომია 81 მნიშვნელოვანი სერვისი. მაგალითისთვის განვიხილოთ პორტალზე განთავსებული ერთ-ერთი აპლიკაცია BankLocal. BankLocal აკავშირებს მომხმარებლებს ბანკებთან, რომელთაც სურთ ინვესტიციის ჩადება ადგილობრივ თემებში. BankLocal აძლევს მომხმარებლებს საშუალებას ინტერაქტიული რუკის მეშვეობით მიიღონ ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ მიიღონ ოპტიმალური საბანკო გადაწყვეტილებები.



Bank Name	Impact	Small Business Lending	HQ in Locale	Branch Concentration	Ownership	Size	Speculative Trading	Small Farm Lending
Optima Bank & Trust Company	★★★	Significant	Yes	Medium	Stock	Small	No	Yes
Piscataqua Savings Bank	★★★	Insignificant	Yes	High	Mutual	Small	No	No
Kennebunk Savings Bank	★★★	Significant	No	Medium	Mutual	Small	No	Insignificant
The First Colebrook Bank	★★★	Outstanding	No	Medium	Stock	Small	No	Insignificant
Federal Savings Bank	★★★	Significant	No	Medium	Mutual	Small	No	No
The Provident Bank	★★★	Outstanding	No	Medium	Stock	Small	No	No
Sanford Institution For Savings	★★★	Significant	No	Medium	Stock	Small	No	Insignificant
Service Credit Union	★★☆	Insignificant	Yes	Medium	Coop	Medium	No	No

დღეის მდგომარეობით www.data.gov.ge-ზე **24 საჯარო დაწესებულების** მიერ სულ გამოქვეყნებულია **117 მონაცემთა ბაზა,** რაც რა თქმა უნდა ვერ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ ბიზნეს სექტორი და კვლევითი ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთონ მონაცემთა გამოყენებისა და პლატფორმის განვითარების პროცესში. www.data.gov.ge-ზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ იყო ხელმისაწვდომი არც აპლიკაციები, რომლებიც შექმნილი იქნებოდა პორტალზე გამოქვეყნებული მონაცემების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში IDFI-იმ ერთის მხრივ იმისთვის, რომ გაეზარდა მომხმარებელთა ცნობიერება ღია მონაცემთა გამოყენებისა და შესაძლებლობების კუთხით, და მეორე მხრივ იმისთვის, რომ წარმოეჩინა პორტალზე სრულყოფილად განთავსებული მონაცემების მნიშვნელობა შექმნა 2 ვებ-აპლიკაცია. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ data.gov.ge საიტზე გამოქვეყნებული ღია მონაცემის - **ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ჩამონათვალი** საფუძველზე შევქმენით შესაბამისი ვებ აპლიკაცია, სადაც განთავსებულია მონაცემები საქართველოს მასშტაბით არსებული სავალუტო ჯიხურების შესახებ.[7] ასევე ჩვენს მიერ შეიქმნა Web აპლიკაცია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ Data.gov.ge საიტზე გამოქვეყნებული ღია მონაცემის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნოტარიუსთა რეესტრის საფუძველზე.[8]

[7] https://opendatablog.wordpress.com/2015/11/16/საქართველოში-არსებული-სა/

[8] https://opendatablog.wordpress.com/2015/11/15/საქართველოს-ტერიტორიაზე/

საქართველოში არსებული სავალუტო გადამცვლელი პუნქტების რუკა.

Posted on November 16, 2015 by opendatablog

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნოტარიუსთა რუკა.

Posted on November 15, 2015 by opendatablog



გამოკითხვა მონაცემთა ბაზების შესახებ

პროექტის „ღია მონაცემები: ცვლილებებისა და ინოვაციების წყარო“ ფარგლებში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ჩაატარა ონლაინ გამოკითხვა ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის შესახებ. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის მონაცემთა ხელმისაწვდომობაა პრიორიტეტული საქართველოში. ღია მონაცემების ხელმისაწვდომობაზე ჩატარებულ გამოკითხვაში გამოკვეთილი 7 საკითხიდან, რომელიც მითითებული იყო კითხვარში, მომხმარებლებს უნდა აერჩიათ 3 მათთვის ყველაზე პრიორიტეტული. გამოკითხვაში სულ 421 ადამიანმა მიიღო მონაწილეობდა.

გამოკითხული 421 ადამიანიდან ყველაზე დიდ რაოდენობას, 149 პირს, სტუდენტები წარმოადგენდნენ, რაც გამოკითხულთა 36% შეადგენს. გამოკითხულთა 26,3% კერძო სექტორის წარმომადგენლები იყვნენ (109 ადამიანი), 19,6% საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები (81 პირი), 16,4% არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები (68 ადამიანი) და 5,3% (22 ადამიანი) მედიის სფეროს წარმომადგენლები. გამოკითხულთა 4,6%-მა სხვა კატეგორია მიუთითა.



გამოკითხვის მეორე პუნქტი, მასში ჩართულ ადამიანებს, საშუალებას აძლევდა აერჩიათ ის საჯარო დაწესებულებები, რომელთა მონაცემთა ბაზებიც მათ აინტერესებდათ. ყველაზე მაღალი ინტერესის მქონე დაწესებულებებად სამინისტროები - 289 ხმით და ადგილობრივი

თვითმმართველობები - 188 ხმით გამოვლინდნენ, რაც გამოკითხულთა 70%-სა და 45,5% შეადგენს. მათ მოსდევს 137 ხმით სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები (გამოკითხულთა 33,2%) და სასამართლო სისტემა 129 ხმით, (გამოკითხულთა 31,2%).



როგორც ზევით აღინიშნა, გამოკითხვაში ჩართულ ადამიანებს საშუალება ჰქონდათ მათთვის საინტერესო სხვა საჯარო დაწესებულებებიც მიეთითებინათ. 12-მა ადამიანმა (2,9%) ისარგებლა ამ შესაძლებლობით. დაწესებულებებს, რომლებიც სხვა კატეგორიაში დასახელდნენ, წარმოადგენენ:

საქართველოს ეროვნული არქივი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
სტატისტიკის დეპარტამენტი
პროკურატურა
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

გამოკითხვის მესამე პუნქტით მონაწილეებს უნდა დაეფიქსირებინათ თუ რომელი კონკრეტული საჯარო დაწესებულების მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა სურდათ. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო - 221 ხმა,

რაც გამოკითხულთა 54,4%-ს შეადგენს. მას მოსდევს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 194 ხმით (47,8%) და ქალაქ თბილისის მერია 147 ხმით (36,2%).



გამოკითხვის ამ ნაწილშიც დაფიქსირდა გამოკითხულთა განსხვავებული პასუხები. 55 განსხვავებული პასუხიდან, თუ კონკრეტულად რომელი საჯარო დაწესებულების მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა სურდათ, ყველაზე ხშირად გვხვდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (8 ხმით), ჯანდაცვის სამინისტრო (7 ხმით), ეკონომიკის სამინისტრო (5 ხმით), ფინანსთა სამინისტრო (4 ხმით), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (4 ხმით), იუსტიციის სამინისტრო (3 ხმით), საქართველოს პარლამენტი (2 ხმით), თავდაცვის სამინისტრო (2 ხმით) და ქუთაისის მერია (2 ხმით). პასუხებში ასევე ვხვდებით: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ტურიზმის ადმინისტრაციას, ეროვნულ ბანკს, ეროვნულ არქივს, საჯარო რეესტრს, საზოგადოებრივ მაუწყებელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, სახელმწიფო ხაზინას, რუსთავისა და ბათუმის მერიებს.

თემატიკის მიხედვით, გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ ყველაზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არის ფინანსების, განათლებისა და მეცნიერების, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის მონაცემთა ბაზების მიმართ.

233 ხმა

ფინანსები - 26%

228 ხმა

განათლება და მეცნიერება - 25%

159 ხმა

ჯანდაცვა -17%

109 ხმა

გარემოს დაცვა - 12%

71 ხმა

კულტურა - 8 %

75 ხმა

ტრანსპორტი - 8%

22 ხმა

სპორტი - 2%

18 ხმა

სხვა- 2%

გარდა აღნიშნულისა, სხვა კატეგორიაში მითითებული პასუხებში ვხვდებით სამართლებრივი სტატისტიკის თემატიკას, საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენების ამსახველი გადაცემების ჩანაწერებს, შშმ პირთა მონაცემთა ბაზას, განსახლების, კრიმინალისა და ბრალდებულების დემოგრაფიული ვალდებულებების თემატიკას. გამოკითხვის საკითხებიდან ერთ-ერთის, მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობის პრიორიტეტულობა გამოკითხვის შედეგად შემდეგნაირად გამოიყურება:



სხვა კატეგორიაში გამოიკვეთა ისეთი მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობის პრიორიტეტულობაც, როგორიცაა:

საავტომობილო გზებზე მომხდარი ავტოავარიების მდებარეობა, დევნილების ბინებით უზრუნველყოფა, მანქანებისა და მობილურის ნომრების მფლობელების მონაცემთა ბაზა, ბაზრის წილების შესახებ ინფორმაცია, რეკრეაციული ზონების/პარკების აღრიცხვის ბაზა, პროექტების შესაძლო დაფინანსების შესახებ მონაცემები, კიბერუსაფრთხოება, გარემოსდაცვითი ინფორმაციები, ავტორიზებული სასწავლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა, სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა, დანაშაულის სტატისტიკა რაიონებისა და დანაშაულის ტიპების მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების ობიექტების აღრიცხვა-განთავსების მონაცემები, გამოცდებისა და მასწავლებლების სტატისტიკა,

სოციალურ პროექტებში ჩართული ორგანიზაციების ბაზა, უძრავი ქონების რეალიზაციის ბაზა-ვიწრო ურბანული მიგრაციის დონეზე გაშლილი, ბიზნესის დარგობრივი ანალიზი, საწარმოების, საწყობებისა და სადისტრიბუციო კომპანიების მონაცემთა ბაზა.

IDFI-ის გუნდმა შეისწავლა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ღია მონაცემთა პორტალებზე (data.gov; data.gov.uk) განთავსებული მონაცემთა ბაზები, აღნიშნული მონაცემთა ბაზების გამოყენებით შექმნილი აპლიკაციები და გამოკითხვაში იმ მონაცემთა ხელმისაწვდომობასა და აპლიკაციებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შესაძლებელია საქართველოშიც იყოს ხელმისაწვდომი:

- საფინანსო დაწესებულებების მომხმარებელთა საჩივრები
- ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები
- არსებული კრიმინალის დეტალური სტატისტიკა
- დაფიქსირებული საგზაო შემთხვევები და მისი გამომწვევი მიზეზები
- სიკვდილიანობის გამომწვევი მიზეზები
- მშენებლობისთვის არსებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები
- წარმოებული და იმპორტირებული სურსათის შემოწმების შედეგები

საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, IDFI-ის მიერ შეთავაზებულ მონაცემთა ბაზებში, გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი წარმოებული და იმპორტირებული სურსათის შემოწმების შედეგების მონაცემთა ბაზამ მოიპოვა - 186 ხმით. ასევე, მაღალი მაჩვენებელი აქვს კრიმინალის დეტალურ სტატისტიკას (153 ხმა) და ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებს (141 ხმა).



IDFI-ის მიერ შეთავაზებული სავარაუდო პასუხებისა გარდა, გამოკითხვაში ჩართულთა 4,1%-მა განსხვავებული აზრი დააფიქსირა. გამოკითხვის მონაწილეთა შემოთავაზებული მონაცემთა ბაზები, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკას ითვალისწინებენ, საქართველოს მაგალითზე შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

შიდა ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების მონაცემთა ბაზა, შშმ პირთა მონაცემთა ბაზა, მომხმარებელთა უფლებების დარღვევის სტატისტიკა, კვლევითი საქმიანობის სტატისტიკა, ტვირთბრუნვის დეტალური მონაცემთა ბაზა, აფხაზეთიდან დევნილების მონაცემთა ბაზა, რეკრეაციული ზონების/პარკების რაოდენობა და წლების მიხედვით მათი პროგრესისა და რეგრესის მაჩვენებლთა მონაცემთა ბაზა, ყოველწლიურად განბაჟებული ავტომობილების რაოდენობის მონაცემთა ბაზა, კიბერ უსაფრთხოების მონაცემთა ბაზა, ბიზნესთან და ინვესტორებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზები.

საქართველოს მაგალითზე, IDFI-ის მიერ შეთავაზებული სასურველი აპლიკაციების შედეგები შემდეგნაირია:

გამოკითხულთა თითქმის ნახევრისთვის პრიორიტეტულია მცირე ბიზნესისათვის სესხების, გრანტების და სხვა ფინანსური დახმარებების ხელმისაწვდომობის აპლიკაცია (209 ხმით), მას მოსდევს საავტომობილო გზების შესახებ მუდმივად განახლებადი ინფორმაცია მოძრაობის ნაკადის, ამინდის და არსებული შეზღუდვების შესახებ (150 ხმით), სამედიცინო დაწესებულებების ადგილმდებარეობა და მათი სერვისები (131 ხმით) და საფინანსო დაწესებულებების შეფასება მათზე არსებული საჩივრების მიხედვით (130 ხმით).

IDFI-ს მიერ შეთავაზებული მონაცემთა ბაზების გარდა გამოკითხვის მონაწილეთა მიერ ჯამში, შემოთავაზებულია 30 მონაცემთა ბაზა და აპლიკაცია:

1. სამართლებრივი სტატისტიკის შინაარსის შემცველი მონაცემთა ბაზა
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენების ამსახველი გადაცემების ჩანაწერების მონაცემთა ბაზა
3. შშმ პირთა მონაცემთა ბაზა
4. საავტომობილო გზებზე მომხდარი ავტოავარიების მდებარეობის შესახებ მონაცემების შემცველი ბაზა
5. დევნილების ბინებით უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზა
6. მანქანებისა და მობილურის ნომრების მფლობელების მონაცემთა ბაზა
7. ბაზრის წილების შესახებ ინფორმაცია
8. რეკრეაციული ზონების/პარკების აღრიცხვის ბაზა
9. პროექტების შესაძლო დაფინანსების შესახებ მონაცემები
10. კიბერუსაფრთხოების შესახებ მონაცემთა შემცველი ბაზა
11. გარემოსდაცვითი ინფორმაციები
12. ავტორიზებული სასწავლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა
13. სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა
14. დანაშაულის სტატისტიკა რაიონებისა და დანაშაულის ტიპების მიხედვით
15. გარემოზე ზემოქმედების ობიექტების აღრიცხვა-განთავსების მონაცემები
16. გამოცდებისა და მასწავლებლების სტატისტიკა
17. სოციალურ პროექტებში ჩართული ორგანიზაციების ბაზა
18. უძრავი ქონების რეალიზაციის ბაზა-ვიწრო ურბანული მიგრაციის დონეზე გაშლილი
19. ბიზნესის დარგობრივი ანალიზი
20. საწარმოების, საწყობებისა და სადისტრიბუციო კომპანიების მონაცემთა ბაზა
21. შიდა ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების მონაცემთა ბაზა
22. მომხმარებელთა უფლებების დარღვევის სტატისტიკის შესახებ მონაცემების შემცველი ბაზა
23. კვლევითი საქმიანობის სტატისტიკა
24. ტვირთბრუნვის დეტალური მონაცემთა ბაზა

25. აფხაზეთიდან დევნილების მონაცემთა ბაზა
26. რეკრეაციული ზონების/პარკების რაოდენობა და წლების მიხედვით მათი პროგრესისა და რეგრესის მაჩვენებელი მონაცემთა ბაზა
27. ყოველწლიურად განბაჟებული ავტომობილების რაოდენობის მონაცემთა ბაზა
28. ბიზნესთან და ინვესტორებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზები
29. მსოფლიოს უდიდესი მონაცემთა ბაზის PIERS-ის ანგარიში
30. რეკრეაციული ზონების/პარკების აპლიკაცია

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში ჩართულთა მიერ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზები შესაძლოა/უნდა ჰქონდეთ საქართველოში არსებულ საჯარო უწყებებს, მაგალითად: საავტომობილო გზებზე მომხდარი ავტოავარიების მდებარეობის შესახებ მონაცემებს უნდა ფლობდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გარემოზე ზემოქმედების ობიექტების აღრიცხვა-განთავსების მონაცემებს - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გამოცდებისა და მასწავლებლების სტატისტიკას, ავტორიზებული სასწავლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებსა და სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებს - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ასევე, შიდა ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების მონაცემთა ბაზას - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, პროექტების შესაძლო დაფინანსების შესახებ მონაცემებს - ფინანსთა სამინისტრო ან სტატისტიკის ეროვნული სამსახური, უძრავი ქონების რეალიზაციის ბაზა - ფინანსთა სამინისტრო, კიბერ უსაფრთხოების მონაცემთა ბაზა - მონაცემტა გაცვლის სააგენტო, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთიდან დევნილების მონაცემთა ბაზა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, აფხაზეთის ა/რ მტავრობა. თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემთა ბაზა ან რეესტრი შესაძლებელია უკვე არსებობდეს ან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე შეიქმნას საჯარო სექტორის შესაბამისი უწყების მიერ და განთავსდეს ღია მონაცემთა პორტალზე.

გამოკითხვის შედეგები, მასში გამოკვეთილი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საჯარო დაწესებულებების მონაცემები, გამოკითხვის მონაწილეთა მიერ შემოთავაზებული მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი და სხვა გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ საზოგადოების ინტერესი საჯარო უწყებების მონაცემთა ბაზების ღია მონაცემთა პორტალზე განთავსებასთან დაკავშირებით საკმაოდ მაღალია. აქედან, გამომდინარე აუცილებელია, როგორც სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, ასევე ყველა საჯარო დაწესებულებამ დანერგონ მოსახლეობასთან პროაქტიული კომუნიკაციის სტრატეგია, იმისთვის, რომ მონაცემების ღიაობასთან დაკავშირებით გაითვალისწინონ მოქალაქეთა სურვილები და მოთხოვნები.

საჯარო დაწესებულებებში დაცული მონაცემთა ბაზები

IDFI-ის მიერ განხორციელებული პროექტის „ღია მონაცემები: ინოვაციებისა და ცვლილებების წყარო“ ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებებში დაცული იმ მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების იდენტიფიცირება, რომელთა განთავსებაც მიზანშეწონილია ღია მონაცემების პორტალზე. აგრეთვე, ინსტიტუტის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, შესწავლა თუ როგორ არის უზრუნველყოფილი საქართველოში საჯარო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებისა თუ რეესტრების პროაქტიული ხელმისაწვდომობა.

კვლევის მიზნებისთვის ინსტიტუტის მიერ 106 საჯარო დაწესებულებაში (საქართველოს პარლამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია, 19 - სამინისტრო და სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 63 - სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ და საქვეუწყებო დაწესებულება, 22 - დამოუკიდებელი სსიპ, მარეგულირებელი კომისიები და სხვა) გაიგზავნა განცხადებები შემდეგი შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით:

1) **უწყების გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ჩამონათვალი და მათი აღწერილობა;**

2) **უწყების ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ჩამონათვალი.**

ამასთან, პროექტის ფარგლებში ინსტიტუტის მიერ განხორციელდა შერჩეული 40 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდის მონიტორინგი და შესწავლილი იქნა, რამდენად შესაბამისობაშია, კონკრეტული საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ წერილობით მოწოდებული ინფორმაცია, რეალურად მათ ვებ-გვერდებზე ხელმისაწვდომ მონაცემებთან.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გზით იდენტიფიცირებული მონაცემთა ბაზები

კვლევის განხორციელების პერიოდში, IDFI-ის მიერ 106 საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილ, მონაცემთა ბაზების და რეესტრების ჩამონათვალის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე, პასუხი მიღებულია 93 უწყებიდან, ხოლო 13-მა უწყებამ ინსტიტუტის აღნიშნული მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. 93 საჯარო დაწესებულებიდან მიღებული პასუხები ნათლად აჩვენებს, რომ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში მონაცემთა ბაზებისა

და რეესტრების დეფინიციის აღქმა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კერძოდ, 15 საჯარო დაწესებულების შემთხევაში ინსტიტუტს ეცნობა, რომ წერილის გაგზავნის მომენტისათვის მათ გამგებლობაში არ არსებობდა ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი მონაცემთა ბაზა თუ რეესტრი, 6-მა უწყებამ ინსტიტუტს განუმარტა რომ მიმდინარეობდა ბაზებისა და რეესტრების სრულყოფა, თუმცა რა მონაცემთა ბაზებს და რეესტრებს ფლობდნენ აღნიშნული დაწესებულებები პასუხში არ იქნა დაკონკრეტებული. 72 საჯარო დაწესებულების შემთხვევაში ინსტიტუტისათვის მოწოდებულია გარკვეული სახის მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ჩამონათვალი, რომლებსაც ისინი აწარმოებენ.



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 13 საჯარო დაწესებულებიდან, რომლებმაც კვლევის პერიოდში მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ ინსტიტუტის მოთხოვნები უპასუხოდ დატოვეს, **9 წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას.** აღნიშნული განსაკუთრებით გასაკვირია იმის ფონზე, როდესაც სწორედ აღნიშნული სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყება - სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო უწევს კოორდინაციას საქართველოს საჯარო დაწესებულებებში არსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების სრულყოფას და პასუხისმგებელია ღია მონაცემების პორტალის - DATA.gov.ge -ის განვითარებაზე.

პროექტის ფარგლებში, მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ IDFI-ის მოთხოვნები, უპასუხოდ დატოვა შემდეგმა 13-მა საჯარო დაწესებულებამ:

- *სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*
- *საკანონმდებლო მაცნე*
- *იუსტიციის სახლი*
- *საქართველოს ეროვნული არქივი*
- *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*
- *იუსტიციის სასწავლო ცენტრი*
- *ნოტარიუსთა პალატა*
- *სმართ ლოჯიქი*
- *დანაშაულის პრევენციის ცენტრი*
- *საქართველოს პროკურატურა*
- *სსიპ 112*
- *სავაჭრო სამრეწველო პალატა*
- *ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტის ფარგლებში IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებიდან (ძალოვანი უწყებების გარდა) მოთხოვნილი იქნა იმ მონაცემთა ბაზების და რეესტრების ჩამონათვალი და მათი აღწერილობა, რომლებსაც აღნიშნული უწყებები აწარმოებდნენ. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებს როგორც მინიმუმ უნდა მოეწოდებინათ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე შესული და გასული კორესპონდენციის რეესტრის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი მონაცემების და სხვადასხვა შიდა უწყებრივი მოხმარების მონაცემთა ბაზებისა თუ რეესტრების შესახებ ინფორმაცია, რომლის წარმოებაც სავალდებულოა ნებისმიერი საჯარო დაწესებულებისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, მთელი რიგი საჯარო დაწესებულების შემთხვევაში ინსტიტუტს ეცნობა, რომ ისინი არ აწარმოებდნენ მონაცემთა ბაზებსა და რეესტრებს. აღნიშნული პასუხი საჯარო დაწესებულებების მხრიდან სავარაუდოდ განპირობებული იყო მათი ვარაუდით, რომ ინსტიტუტისათვის უნდა მოეწოდებინათ მხოლოდ იმ ბაზებისა და რეესტრების შესახებ ცნობები, რომლის განთავსებაც მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ ღია მონაცემების პორტალზე. მაგალითად, **სოფლის მეურნეობის სამინისტრომ** ინსტიტუტს განუმარტა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია მათ უწყებაში არ მოიპოვებოდა და პასუხის მომზადების პერიოდში იქმნებოდა ანალიტიკის დეპარტამენტის მოდული ფასებისა და კულტურების შესახებ.

საქართველო
GEORGIA

სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
MINISTRY OF
AGRICULTURE

6281-01-2-201509041643

N 6281/01
04/09/2015

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 20 აგვისტოს #DAT08/15-005 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ მოიპოვება. აქვე გაცნობებთ, რომ დამუშავების პროცესშია ბაზა - ,,ანალიტიკის დეპარტამენტის მოდული ფასებისა და კულტურების შესახებ". აღნიშნული ბაზის შემუშავების და მომზადების შემდეგ, ინფორმაცია განთავსდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემთხვევაში ინსტიტუტს ეცნობა, რომ ცენტრალური აპარატის მფლობელობაში მონაცემთა რეესტრები არ ირიცხებოდა და სამინისტრო თავის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით წარმოადგენდა, მხოლოდ მისი დაქვემდებარებული სსიპ-ების ინფორმაციული ბაზებიდან მონაცემთა გამტარს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2015 წლის 20 აგვისტოს შემოსული თქვენი NDAT08/15-007 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვდით ინფორმაციას სამინისტროში არსებული მონაცემთა ბაზების, რეესტრების ჩამონათვალისა და მათი აღწერილობის შესახებ, გაცნობებთ, რომ სამინისტროს ცენტრალური აპარატის მფლობელობაში მონაცემთა რეესტრები არ ირიცხება, რადგან ყველა რეესტრის წარმოება ხორციელდება მათი მფლობელების (განმახორციელებლების) მიერ. ასეთებია სამინისტროს დაქვემდებარებული: სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო, ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო თავის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით არის მხოლოდ აღნიშნული სამსახურების ინფორმაციული ბაზებიდან მონაცემთა გამტარი.

სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.moh.gov.ge -ზე მონაცემთა ბაზები და რეესტრები განთავსებული არ არის.

ამასთან, სამინისტრომ 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო „ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების" ახალი სისტემის დანერგვა, რომელიც მოიცავს არსებული ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის „ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების" სისტემასთან ინტეგრაციისა და დანერგვის ეტაპებს. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ (ზოგიერთი პროცესი შეიძლება განხორციელდეს სამუშაოების პარალელურადაც), შესაძლებელი იქნება ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზებიდან data.gov.ge-ზე ინფორმაციის განთავსება ვებ-სერვისების საშუალებით.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ლონისძიებათა დაგეგმვისა და
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამმართველოს უფროსი

სოფიო უმიკაშვილი

კონკურენციის სააგენტოს, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს და **სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის** შემთხვევაში ინსტიტუტს განემარტა, რომ მათი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე მონაცემთა ბაზებსა და რეესტრებს აღნიშნული უწყებები არ აწარმოებდნენ.



თქვენი მ/წ. 20 აგვისტოს DAT08/15-064 მომართვისამებრ, (რეგ: N01/1134; 24.08.2015 წ) მასში დასმულ საკითხთან (კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემა) დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სსიპ - კონკურენციის სააგენტო, მისი მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებთ, არ აწარმოებს მონაცემთა ბაზებსა და რეესტრებს. შესაბამისად, დოკუმენტაცია არ არის განთავსებული ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში და ამ მიმართებით არანაირი სახის მიმოწერა არ განხორციელებულა სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან.

პატივისცემით,

სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ბარაბაძე

სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს და **სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის** შემთხვევაში ინსტიტუტს ეცნობა, რომ მათ მიერ არ ხორციელდება ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების წარმოება.



ბატონო გიორგი,

თქვენი 2015 წლის 23 ოქტომბრის DAT10/15-006 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტო არ ახორციელებს ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეესტრებს. სააგენტოს არ გაუხორციელებია ღია მონაცემების პორტალზე - data.gov.ge მონაცემთა ბაზები და რეესტრები, შესაბამისად, სააგენტო არ ფლობს ზემოთაღნიშნული წერილით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი **დავით ტყემალაძე**

Activate Windows

ძალოვანი უწყებების შემთხვევაში ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი იქნა მხოლოდ **საჯარო** მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ჩამონათვალი და მათი აღწერილობა. აღნიშნული სპეციფიკის უწყებებიდან **თავდაცვის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა** და **დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა** ინსტიტუტს აცნობა, რომ მათ საჯარო მონაცემთა ბაზები და რეესტრები არ გააჩნიათ.



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგამოძიებო სამსახური

MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
INVESTIGATION SERVICE

№ 6657/15-02
„01" 09 2015 წ/y

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონ გიორგი,

განვიხილეთ თქვენი მიმდინარე წლის 20 აგვისტოს #DAT 08/15-039 წერილი და გაცნობებთ, რომ საგამოძიებო სამსახური არ ახორციელებს საჯარო მონაცემთა ბაზების წარმოებას, შესაბამისად ამ ეტაპზე data.gov.ge -ზე რაიმე სახის ინფორმაცია განთავსებული არ არის.

პროექტის ფარგლებში IDFI-ის მიერ მოთხოვნილი მონაცემთა ბაზები და რეესტრები (ძალოვანი უწყებების შემთხვევაში საჯარო მონაცემთა ბაზები და რეესტრები) არ გააჩნდათ შემდეგ უწყებებს:

- **სოფლის მეურნეობის სამინისტრო**
- **შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**
- **დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი**
- **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი**
- **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**
- **კონკურენციის სააგენტო**
- **ციფრული მაუწყებლობის სააგენტო**
- **სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია**
- **რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო**
- **სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური**
- **სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო**
- **თავდაცვის სამინისტრო**
- **ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური**
- **სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური**
- **დაცვის პოლიცია**

6 საჯარო დაწესებულების შემთხვევაში, მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ აღნიშნული უწყებების მიერ ხორციელდება გარკვეული მონაცემთა ბაზებისა თუ რეესტრების წარმოება, თუმცა რა მონაცემთა ბაზები და რეესტრებია მათ გამგებლობაში არ იქნა დაკონკრეტებული. მაგალითად, **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს** განმარტებით აღნიშნული სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობს მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების სრულყოფა ღია მონაცემების პორტალზე განთავსების მიზნით. მსგავსი შინაარსის პასუხებია მოწოდებული **სოციალური მომსახურების სააგენტოს, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის** და **ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შემთხვევაშიც,** თუმცა როგორც აღვნიშნეთ, მათ მიერ მოწოდებულ პასუხში არ იქნა დაკონკრეტებული თუ რა მონაცემთა ბაზებზე მიმდინარეობს მუშაობა.

ამ დროისათვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სისტემაში შემავალ სსიპ(ებ)-ში მიმდინარეობს თქვენს განცხადებაში აღნიშნული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების სრულყოფა.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი — პავლე ოკუჯავა

თქვენი, მიმდინარე წლის 20 აგვისტოს # DAT 08/15-033 განცხადებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მჭოდრო მოლაპარაკებებს აწარმოებს სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ მოხდება ჩვენს მიერ წარმოებული მონაცემთა ბაზის შესაბამისი წესით დარეგისტრირება.

პატივისცემით

სამმართველოს უფროსი — ლალი ებანოიძე

სასაზღვრო პოლიციის შემთხვევაში, ინსტიტუტს ეცნობა, რომ აღნიშნულ უწყებაში დამუშავებული ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან მონაცემთა ბაზაშია დაცული.

თქვენი ამა წლის 23 ოქტომბრის №DAT10/15-029 განცხადების პასუხად (შემოსული N2364829) გაცნობებთ, რომ საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციას აქვს საარქივო სამსახური, სადაც მატერიალური სახით ინახება სამსახურებრივი საჭიროების დოკუმენტები, ხოლო „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში დამუშავებული სხვა მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან მონაცემთა ბაზაშია დაცული.

პატივისცემით,

სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის
მედიასა და საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახურის უფროსი,
ს/პ უფროსი ლეიტენანტი **ლ.ბაბილოძე**

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ინსტიტუტს განემარტა, რომ აღნიშნულ უწყებაში არსებული საჯარო ინფორმაცია განთავსებულია მათ ვებ-გვერდზე, თუმცა რა მონაცემთა ბაზები და რეესტრები იქნა მათ მიერ საჯარო ინფორმაციაში ნაგულისხმევი ინსტიტუტისათვის უცნობია.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში
ინტეგრაციის საკითხებში

N 01/2603
03/09/2015

2603-01-2-201509031253

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

დირექტორს ბ-ნ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი ა.წ. 20.08.15 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში არსებული საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია და განთავსებულია აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (იხილეთ ბმული: .http://eu-nato.gov.ge/ge/data).

საჯარო დაწესებულებებს, საიდანაც მიღებული დოკუმენტაციით არ ირკვევა კონკრეტულად რა მონაცემთა ბაზები და რეესტრებია მათ გამგებლობაში, წარმოადგენენ შემდეგი უწყებები:

- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**
- **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი**
- **სოციალური მომსახურების სააგენტო**
- **დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**
- **ფინანსთა სამინისტროს აკადემია**
- **სასაზღვრო პოლიცია**

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, 72 საჯარო დაწესებულების შემთხვევაში მოწოდებულია გარკვეული სახის მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ჩამონათვალი, რომლებსაც ისინი აწარმოებენ. მათ შორისაა, როგორც **სტანდარტული** (მაგალითად, როგორიცაა: *პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, დასაქმებულ თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, შენობაში შემოსულ პირებზე გაცემული საშვების ბაზა, დაზღვეულ თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების პირადი მონაცემების ბაზა, ცხელი ხაზით შემოსულ შეტყობინებათა რეესტრი, ელ. საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა და სხვა შიდაუწყებრივი მოხმარების მონაცემთა ბაზები თუ რეესტრები*) ასევე, **არასტანდარტული** ხასიათის მონაცემთა ბაზები და რეესტრები, რომლებიც უშუალოდ კონკრეტული უწყების საქმიანობის სპეციფიკასთან არის დაკავშირებული.

ინსტიტუტის კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებებში დაცული აღნიშნული არასტანდარტული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების იდენტიფიცირება. სულ 72 საჯარო დაწესებულებიდან მოწოდებულია აღნიშნული ხასიათის 284 მონაცემთა ბაზისა და რეესტრის შესახებ ინფორმაცია, საიდანაც ინსტიტუტის მიერ შეირჩა 147, რომლის განთავსებაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ღია მონაცემების პორტალზე.

იმ მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ჩამონათვალი რომელთა განთავსებაც შესაძლებელი და სასურველია ღია მონაცემების პორტალზე წარმოდგენილია ***დანართი N1-ში.***

როგორც აღვნიშნეთ, ინსტიტუტმა მიიღო ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზებისა / რეესტრების ჩამონათვალი და მათი ზოგადი აღწერილობა, თუმცა აღნიშნული არ იძლეოდა დეტალურ ინფორმაციას თუ რა მოცულობის და შინაარსის მონაცემებია განთავსებული კონკრეტული მონაცემთა ბაზაში თუ რეესტრში.

შესაბამისად, IDFI-ის მიერ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან მოთხოვნილი იქნა უშუალოდ კონკრეტული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების არსებული ვერსიები. მათ შორის:

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების რეესტრი;

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სპორტული ობიექტების ბაზა;

შინაგან საქმეთა სამინისტრო - სხვადასხვა კატეგორიის დაკარგული/ნაპოვნი ობიექტების აღრიცხვის მონაცემთა ბაზა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომხდარი კონფლიქტების აღრიცხვის მონაცემთა ბაზა;

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეესტრი;

საავტომობილო გზების დეპარტამენტი - საავტომობილო გზებზე მოძრაობის ინტენსივობის მონაცემთა ბაზა, სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესახებ რეესტრი და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ მონაცემთა ბაზა;

სახალხო დამცველის აპარატი - სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების მონაცემთა ბაზა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი - საჯარო ინფორმაციის გაცემის რეესტრი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო - საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური - გამოვლენილი დარღვევების საინფორმაციო ბაზა

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ინსტიტუტს მოაწოდა უძრავი და მოძრავი ძეგლების რეესტრი, სადაც დაცულია კულტურული მემკვიდრეობის 7020 უძრავი და 4112 მოძრავი ძეგლის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სახელწოდება, შექმნის/აგების თარიღი, ადგილმდებარეობა, რეესტრში შეტანის თარიღი და ბრძანების ნომერი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრი *(ნაწილი 1)*

რიგითი №	**სახელწოდება**	**შექმნის/აგების თარიღი**	**ადგილმდებარეობა/მისამართი**	**რეესტრში შეტანის თარიღი**	**სააღრიცხვო ბარათის/პასპორტის №**	**შენიშვნა**
1.	დადიანების ბაღისა და სასახლეთა კომპლექსი	XVIII-XIXსს	ქ. ზუგდიდი, დადიანების ბაღისა და სასახლეთა კომპლექსი	01.10.2007		ბრძანება №3/44 23.02.2006
2.	საცხოვრებელი სახლი	XIXს. დასაწყისი	ქ. სიღნაღი, არსენას ქ. №13	01.10.2007		ბრძანება №3/46 23.02.2006
3.	საცხოვრებელი სახლი	XIX ს- II ნახ.	ქ. სიღნაღი, ბარათაშვილის (ნიკოლოზ) ქ. №5	01.10.2007		ბრძანება №3/46 23.02.2006
4.	საცხოვრებელი სახლი	XIXს. დასასრული	ქ. სიღნაღი, ბარათაშვილის (ნიკოლოზ) ქ. №7	01.10.2007		ბრძანება №3/46 23.02.2006
5.	საცხოვრებელი სახლი	XIXს. დასასრული	ქ. სიღნაღი, ბარათაშვილის (ნიკოლოზ) ქ. №11	01.10.2007		ბრძანება №3/46 23.02.2006
6.	საცხოვრებელი სახლი	XIXს. დასასრული	ქ. სიღნაღი, ბარათაშვილის (ნიკოლოზ) ქ. №9	01.10.2007		ბრძანება №3/46 23.02.2006
7.	საცხოვრებელი სახლი	XIXს. დასასრული	ქ. სიღნაღი, ბარათაშვილის (ნიკოლოზ) ქ. №15	01.10.2007		ბრძანება №3/46 23.02.2006

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, სპორტული ობიექტების მონაცემთა ბაზის შესახებ მოთხოვნაზე, ინსტიტუტს განუმარტა, რომ აღნიშნულ ბაზაში ირიცხება 2005-2007 წლებში მუნიციპალური დანიშნულებისათვის მოწყობილი ასფალტის საფარიანი და ხელოვნურ საფარიანი მინიმოედნები და 2013-2015 წლებში ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში აშენებული სპორტული ობიექტები, თუმცა აღნიშნული ბაზის არსებული ვერსია არ იქნა მოწოდებული. სამინისტრომ აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველოს საკუთრებაში სპრორტული ობიექტები სრულყოფილად არ არის დარეგისტრირებული და აღნიშნული პროცედურები კვლავ მიმდინარეობს.

- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბალანსის საცნობარო მუხლში (ბალანსგარეშე ანგარიშზე) ირიცხება 2005-2007 წლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ მუნიციპალური დანიშნულებისათვის მოწყობილი ასფალტსაფარიანი და ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნები. მუნიციპალიტეტების ნაწილმა უზრუნველყო სპორტული ობიექტების საკუთრებაში დარეგისტრირება, ხოლო დარჩენილი ობიექტების ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში რეგისტრაციის პროცედურები მიმდინარეობს.

- 2013-2015 წლებში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებით, ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი "თბილისი 2015"-ის ჩასატარებლად აშენდა საცურაო აუზი (დიღომი) და მულტიფუნქციური სპორტის სასახლე (უნივერსიტეტის ქ.), რომლებიც ამჟამად ირიცხება სამინისტროს მართვაში გადმოცემული 100%-იანი სახელმწიფო წილით დაფუძნებული შპს "სპორტმშენსერვისის" კაპიტალში და ამ საწარმოს ბალანსზე, რომელმაც გამოყოფილი თანხების ფარგლებში განახორციელა მოცემული ობიექტების მშენებლობები.

საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან IDFI-იმ მიიღო საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოძრაობის ინტენსივობის მონაცემთა ბაზა, სადაც წარმოდგენილია კონკრეტულ საავტომობილო გზებზე მოძრაობის ინტენსივობის საშუალო წლიური მაჩვენებლები ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეების მიხედვით. აღნიშნული უწყებიდან ინსტიტუტმა მიიღო აგრეთვე, სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესახებ რეესტრი და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ მონაცემთა ბაზა.

2014 წლის მოძრაობის ინტენსივობის სიდიდეები შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე (საშუალო წლიური)

გზის კოდი	გზის დასახელება	ავტოტრანსპორტის სახეობა				მთლიანად ჯამი
		მსუბუქი ავტომანქანა	მიკროავტობუსი <15 ფურგული	ავტობუსი და სატვირთო	ტრაილერი და 3 ღერძზე >	
	1	2	3	4	5	6
შ-1	ბათუმი-ახალციხე					
	15კმ	5 925	822	373	170	7 290
	60კმ	1 527	195	59	15	1 796
შ-2	საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი					
	15 კმ	1 746	189	42	17	1 994
	50 კმ	1 962	163	155	28	2 308
შ-4	აბაშა-მარტვილი					
	5კმ	1 425	225	43	10	1 703

ინფორმაცია
საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოების 2015 წლის პროექტებზე

№	პროექტის დასახელება	კონტრაქტის ღირებულება (ათ.ლარებში)	შესრულება 19.10.2015წ. მდგომარეობით (ათ.ლარებში)	შენიშვნა
1	2	3	4	5
	მიმდინარე პროექტები			
1	ს/მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა- ლარსის ს/გზის კმ106+180-კმ106+880; კმ107+180-კმ110+850 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები (4.2კმ 1 ახალი ხიდი)	5,497.0	4,910.9	მიმდინარე (დაიწყო 2014 წელს)

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მოწოდებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეესტრში ასახულია მწარმოებელი კომპანიის, წარმოების ადგილის, გენმოდიფიცირებული ორგანიზმის დასახელების, მისი ზოგადი მახასიათებლების, აღწერილობის და გამოყენების მიზნის, საბაზრო ქსელში განთავსებაზე

პასუხისმგებელი პირის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემების შესახებ ინფორმაცია.

ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ერთიანი რეესტრის ფ									
#	გმო-ს მწარმოებელი კომპანია	გმო-ს წარმოების ადგილი	გმო-ს დასახელება	გმო-ს ზოგადი მახასიათებლები	გმო-ს აღწერილობა	გმო-ს გამოყენების მიზანი	გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის საიდენტიფიკაც	გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	განმცხადებლის სახელი (ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების შემთხვევაში)
1	კომპრადორ-კ	უკრაინა	სოიო (MON40-3-2) MON-Ø4Ø32-6		გენეტიკურად მოდიფიცირებული სოიო, რომელიც შეიცავს:ინსერტირებულ cp4 epsps გენს, რომელიც ანიჭებს ჰერბიციდ გლიპოსატის მიმართ ტოლერანტობას	გადასამუშავებლად	კახაბერ მალანია	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა N81	
2	Soya Plus LLP	უკრაინა	სოიო (MON40-3-2) MON-Ø4Ø32-6		გენეტიკურად მოდიფიცირებული სოიო, რომელიც შეიცავს:ინსერტირებულ cp4 epsps გენს, რომელიც ანიჭებს ჰერბიციდ გლიპოსატის მიმართ ტოლერანტობას	გადასამუშავებლად	გიორგი ადეიშვილი	თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა №115	

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოწოდებულია 2013-2015 წლებში სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების რეესტრი სადაც ასახულია რეკომენდაციის გაცემის თარიღის, ნომერის, არსის, ადრესატი უწყების და საკითხის შესახებ ინფორმაცია. 2013 წლის რეკომენდაციების რეესტრში დარეგისტრირებულია სახალხო დამცველის მიერ გაცემული 136 რეკომენდაციის, 2014 წელს - 154 რეკომენდაციის, ხოლო 2015 წელს სექტემბრის მდგომარეობით - 56 რეკომენდაციის შესახებ ინფორმაცია.

	თარიღი	რეკომენდაციათა შინაარსი			
#	თარიღი	ნომერი	რეკომენდაციის არსი	რეკომენდაციის ადრესატი - უწყება	საკითხი
1	08.01.2015	11/145	უსახლკარო ფ. ბ. თავმესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის "ფ" ქვეპუნქტის შესაბამისად	ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი	უსახლკაროთა თავსესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია
2	12.01.2015	01-4/183	საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის შემოთავაზებული ცვლილებებით სიტყვა "დადგენილების" ამოღების არ გაზიარება	საქართველოს პარლამენტის თავმჯომარე	გადაუდებელი აუცილებლობისას ამოღებისა და ჩხრეკისას დადგენილების შედგენა/არ შედგენა
3	23.01.2015	08/590	ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების შესწავლის დროს, კანონით დადგენილი პროცედურების სრული დაცვის უზრუნველსაყოფად, ზედამხედველობა გაუწიოთ თქვენს დაქვემდებარებაში არსებულ პასუხისმგებელ სტრუქტურებს.	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	"ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ" 2010 წლის 31 მაისი ბრძანების მოთხოვნის შესაბამისობა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემის რეესტრში ასახულია მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსის, ინფორმაციის მომთხოვნის, რეგისტრაციის თარიღის და ნომრის, პასუხის გაცემის თარიღის და შედეგის შესახებ ინფორმაცია. 2015 წლის (იანვარი-სექტემბერი) რეესტრში სულ ასახულია უწყებაში შესული 30 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების მონაცემები.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემის რეესტრი						
N	მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი	მომწოდებელი	ცენტრში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი	ინფორმაციის გაცემის თარიღი და ნომერი	შედეგი	კომენტარი
I კვარტალი						
1	ინფორმაცია მრავალფეროვნების მართვისა და ინტერკულტურული განათლების მოთხოვნის საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტში ასახვის თაობაზე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	23/02/2015 - 139172	13/03/2015 - 190649	დაკმაყოფილდა	ინფორმაციის გაცემის ვადა დარღვეულია ტექნიკური ხარვეზის გამო. აღნიშნულის თაობაზე სატელეფონო საუბრის მეშვეობით ეცნობა განმცხადებელს
2	საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის N15/03/02 განკარგულებით დამტკიცებული ადამიანით ვაჭრობის (ტერფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	24/02/2015 - 141641	27/02/2015 - 153452	სამინისტროს ეცნობა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ცენტრში დაცული არ არის	

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის შესახებ მოთხოვნაზე განმარტა, რომ აღნიშნული ინფორმაციის ნაწილი შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს. თუმცა, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ უწყებამ ინსტიტუტს საკუთარი ინიციატივით მოაწოდა რეგისტრირებული გემების შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

	ბალკერი	სამგზავრო კომეტა	ტანკერი	იახტა	ამჟამად რეგისტრირებულია
საერთაშორისო ნაოსნობის გემების წიგნი	1	1	2	2	6

	ჰიდროგ იკლი	ნიჩბიანი ნავი/კატა მარანი	მოტონავი	თევზსაჭერი სეინერი	იახტა/ სასეირნო კატარღა/სასწავლო	სანავსადგურო	ბარჯა	ამჟამად რეგისტრირებულია
მიდა ნაოსნობის გემების წიგნი	124	139/1	381	32	64	23	2	766

	სანავსადგურო	ამჟამად რეგისტრირებულია
ბერბოუტ-ჩარტერისგემებისწიგნი	1	1

	ამჟამად რეგისტრირებულია
მშენებარე გემების გემებისწიგნი	0

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში სხვადასხვა კატეგორიის დაკარგული/ნაპოვნი ობიექტების და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომხდარი კონფლიქტების აღრიცხვის მონაცემთა ბაზების არსებული ვერსიის მოთხოვნაზე, ინსტიტუტს განემარტა რომ აღნიშნული ბაზები შეიცავდნენ პერსონალურ მონაცემებს და მოკლებული იყვნენ მათი გასაჯაროების შესაძლებლობას. მსგავსი შინაარსის პასუხი ეცნობა ინსტიტუტს აგრეთვე, **საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ** გამოვლენილი დარღვევების საინფორმაციო ბაზის მოთხოვნაზე.



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 2502374 10/11 2015წ.

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს
მის : ქ.თბილისი, ალ.გრიბოედოვის ქ.N3

ბატონო გიორგი,

თქვენი N DAT10/15-003 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში არსებული სხვადასხვა კატეგორიის დაკარგული/ნაპოვნი ობიექტების და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომხდარი კონფლიქტების აღრიცხვის მონაცემთა ბაზები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შეიცავს პერსონალურ მონაცემებს.

IDFI-ი მიიჩნევს, რომ საჯარო დაწესებულებებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების რესურსის იმგვარი ფორმირება, რომ შესაძლებელი იქნას მათი ღია მონაცემების პორტალზე განთავსება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ერთი მხრივ მონაცემთა ბაზებიდან თუ რეესტრებიდან პერსონალური და სხვა დახურული მონაცემების გამოცალკევებით, ხოლო აღნიშნულის ტექნიკურად შეუძლებლობის შემთხვევაში, კონკრეტულ საკითხებზე მაქსიმალურად დეტალური სტატისტიკური მონაცემთა ბაზების წარმოებით.

საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე განთავსებული მონაცემთა ბაზები და რეესტრები

2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, რომლის მიხედვით მთავრობის მმართველობის სფეროში მოქმედ ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალათ შესაბამისი ნუსხით განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სავალდებულოდ განსაზღვრით საქართველოს ხელისუფლებამ გაიზიარა მოსაზრება, რომ საჯარო მონაცემთა ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ადმინისტრაციული ორგანოების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდას, მოქალაქეების უფლებამოსილების ამაღლებას და ეფექტური სერვისების დანერგვას.

პროექტის ფარგლებში, IDFI-ის მიერ შესწავლილი იქნა ის, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი საქართველოში საჯარო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებისა თუ რეესტრების პროაქტიული ხელმისაწვდომობა. აღნიშნული საკითხის სრულყოფილად გამოსაკვლევად, ინსტიტუტის მიერ ზემოთ ხსენებულ 106 საჯარო დაწესებულებას, გაეგზავნათ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები მათ ვებ-გვერდებზე განთავსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით. ამასთან, გაგზავნილ მოთხოვნებთან ერთად, ინსტიტუტის მიერ განხორციელდა შერჩეული 40 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდის მონიტორინგი და შესწავლილი იქნა ელექტრონულ რესურსებზე პროაქტიულად განთავსებული მონაცემთა ბაზები და რეესტრები.

106 საჯარო დაწესებულებიდან **62**-მა ინსტიტუტს მოაწოდა მათ ვებ-გვერდებზე განთავსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ ინფორმაცია.

25 საჯარო დაწესებულების შემთხვევაში ინსტიტუტს განემარტა, რომ მათ ვებ-გვერდზე არ უდევთ მონაცემთა ბაზები. აღნიშნულ კატეგორიაში გაერთიანებულია ის საჯარო დაწესებულებებიც, რომლებმაც ინსტიტუტს აცნობეს, რომ საერთოდ არ ფლობდნენ მონაცემთა ბაზებსა და რეესტრებს. შესაბამისად, მათ ვერ ექნებოდათ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზები თუ რეესტრები. საჯარო დაწესებულებებს, რომლებიც მათივე მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ფლობენ გარკვეულ მონაცემთა ბაზებს, თუმცა ვებ-გვერდზე არ აქვთ განთავსებული და აღნიშნულ ბაზებს იყენებენ მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის წარმოადგენენ შემდეგი უწყებები:

- **კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო**
- **იუსტიციის სამინისტრო**
- **სახელმწიფო ხაზინა**

- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
- პრობაციის ეროვნული სააგენტო
- შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
- ფინანსური მონიტორინგის სამსახური
- კომუნიკაციების ეროვნული კომისია
- საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი

19 საჯარო დაწესებულის შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული. ზემოთ ჩამოთვლილი 13 უწყების გარდა, რომლებმაც ინტიტუტის წერილები უპასუხოდ დატოვეს, წერილის ამ პუნქტზე, რომელიც შეეხებოდა ვებ-გვერდებზე განთავსებულ მონაცემთა ბაზებსა და რეესტრებს პასუხი არ იქნა მიღებული აგრეთვე, შემდეგი 6 საჯარო დაწესებულებიდან:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- სოციალური მომსახურების სააგენტო
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
- ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის პარალელურად, IDFI-ის მიერ პროექტის ფარგლებში განხორციელდა 40 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდის მონიტორინგი. კერძოდ, მონიტორინგი განხორციელდა შემდეგი საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე:

1. საქართველოს პარლამენტი
2. მთავრობის ადმინისტრაცია
3. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
4. საგარეო საქმეთა სამინისტრო
5. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
6. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
7. სოფლის მეურნეობის სამინისტრო
8. ფინანსთა სამინისტრო
9. შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
10. ენერგეტიკის სამინისტრო
11. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
12. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
13. თავდაცვის სამინისტრო
14. იუსტიციის სამინისტრო
15. შინაგან საქმეთა სამინისტრო
16. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
17. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
18. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
19. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
20. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
21. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
22. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
23. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
24. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
25. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
26. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
27. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
28. დაცული ტერიტორიების სააგენტო
29. სურსათის ეროვნული სააგენტო
30. სოციალური მომსახურების სააგენტო
31. შემოსავლების სამსახური
32. სახელმწიფო ხაზინა
33. საჯარო სამსახურის ბიურო
34. საქართველოს პროკურატურა

35. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
36. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
37. კომუნიკაციების ეროვნული კომისია
38. ფინანსური მონიტორინგის სამსახური
39. საქპატენტი
40. სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღნიშნულ საჯარო დაწესებულებებს, მონიტორინგის პერიოდისათვის, საკუთარ ვებ-გვერდზე, როგორც მინიმუმ განთავსებული უნდა ჰქონოდათ შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი მონაცემები.

ზემოთ ჩამოთვლილი საჯარო დაწესებულებებიდან **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო** წარმოადგენს ერთადერთ უწყებას რომელსაც მონიტორინგის პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა შექმნილი ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის განყოფილება. სხვა საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში თითოეული მათგანის ვებ-გვერდზე ვხდებით განყოფილებას „საჯარო ინფორმაცია“, თუმცა სავალდებულო ინფორმაციის განთავსების კუთხით, როგორც სრულყოფილების ასევე პერიოდულობის თვალსაზრისით, მონიტორინგის პროცესში მნიშნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა.

მონიტორინგის ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ შესწავლილი იქნა საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე განთავსებული ის არასტანდარტული მონაცემთა ბაზები და რეესტრები, რომლებიც დაკავშირებულია უწყებების საქმიანობის სპეციფიკასთან და მიზანშეწონილია მათი ღია მონაცემების პორტალზე განთავსება. მონიტორინგის შედეგად ინსტიტუტის მიერ 40 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე სულ მოძიებული იქნა 131 სხვადასხვა სახის არასტანდარტული მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოდგენილი იყო პირველადი მონაცემების სახით ან სხვადასხვა ელექტრონული სერვისის საშუალებით.

აღნიშნული მონაცემთა ბაზები უმეტესწილად განთავსებულია სამინისტროების დაქვემდებარებული და სხვა დამოუკიდებელი სსიპ-ების ვებ-გვერდებზე. მათ შორის გამორჩეულია **სტატისტიკის ეროვნული სამსახური,** რომელიც საკუთარი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ამუშავებს და ვებ-გვერდზე ანთავსებს სხვადასხვა სახის სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებულია საქსტატის მონაცემთა კომპიუტერული ბაზა - PC Axis. მასში თავმოყრილია დარგობრივი სტატისტიკური ერთეულების მიერ მომზადებული განახლებადი PC Axis ფორმატის ფაილები, რომელთა განთავსებაც ხდება წინასწარ განსაზღვრულ ვადებში PC Axis-ს ერთიან მონაცემთა ბაზაში.



აღსანიშნავია აგრეთვე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებული სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი, რომელიც მომხმარებელს საშულებას აძლევს მოახდინოს მისთვის სასურველი ეკონომიკური სუბიექტების შესახებ არსებული მონაცემთა ბაზის ჩამოტვირთვას. აღნიშნული მოდული ცალსახად წარმოადგენს, მნიშვნელოვან სიახლეს ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით საქართველოში.



ზემოთ ხსენებული 40 საჯარო დაწესებულებიდან, მათ ვებ-გვერდებზე განთავსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ მიღებული ინფორმაცია და ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსხვავებულ სურათს იძლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების მონიტორინგის შედეგები, რომლებმაც ინსტიტუტს შესაბამისი მოთხოვნის პასუხად განუმარტეს, რომ ვებ-გვერდზე არ ჰქონდათ განთავსებული მონაცემთა ბაზები და რეესტრები.

მაგალითად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ინსტიტუტს განუმარტა, რომ ვებ-გვერდზე მათ მიერ არ არის განთავსებული მონაცემთა ბაზები და რეესტრები, თუმცა მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ სამინისტროს ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ასოციაციების რეესტრი.

სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.moh.gov.ge -ზე მონაცემთა ბაზები და რეესტრები განთავსებული არ არის.
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხი მათ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე.



საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ინსტიტუტს აგრეთვე აცნობა რომ, სამსახურის ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული მონაცემთა ბაზები და რეესტრები. მონიტორინგის შედეგად ინსტიტუტის მიერ აღნიშნული უწყების ვებ-გვერდზე მოძიებული იქნა რეგისტრირებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირების რეესტრები. აღნიშნული რეესტრები წარმოდგენილია სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირების კატეგორიების მიხედვით, სადაც განთავსებულია: მათი სახელწოდება, რეგისტრაციის თარიღი და იურიდიული მისამართი. აღნიშნული უწყების ვებ-გვერდზე წარმოდგენილია აგრეთვე, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მონაცემთა ბაზა, რომლებიც დაკავშირებული არიან ტერორისტულ ორგანიზაციებთან.

2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ გვერდზე არ არის განთავსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ჩამონათვალი.
ფინანსური მონიტორინგის სამსახურის პასუხი მათ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში რეგისტრირებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები:

- კომერციული ბანკები;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
- საბროკერო კომპანიები;
- ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები;
- ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები;
- ვალუტის გადამცვლელი პუნქტები;
- კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტები;
- არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები;
- სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები;
- ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირები,
- სამორინეები;
- ნოტარიუსები;
- სალიზინგო კომპანიები;

სახელწოდება	ფმს–ში რეგისტრაციის თარიღი	იურიდიული მისამართი
ვინ გროუპი	04.05.2012	თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45
LivePoker.ge	01.12.2011	თბილისი, გლდანის II მრ, კ. 38, ბ. 197
ლიდერბეთი	30.11.2011	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #12ა
ლიმონი 2009	06.01.2012	რესპუბლიკის მოედანი
GRAND INTURIST	06.09.2013	ქ.ბათუმი,წიწოშვილის ქ#11
კონტრასტპლიუსი	29.07.2013	თბილისი. 26 მაისის მოედანი #1
GEOBET	21.08.2013	ქ. თბილისი 26 მაისის მოედანი # 1
მშვიდობა	24.07.2013	ქ.ბათუმი ვაჟა ფშაველა / ეგნატე წიწოშვილის 2/21
ქართული კაზინოს ჯგუფი	06.06.2013	თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, რესტორან ბერიკონ
WIN GROUP	13.05.2013	თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45
ლიმონი 2009	31.01.2013	საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი,რესპუ
კაზინო აჭარა	22.01.2013	ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი #1

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

(2015 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით)

№№	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6
1.	DE AFGHANISTAN MOMTAZ BANK				მოძრაობა თალიბანი (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის N116 ბრძანებით)
2.	აბუ საიაფ ჯგუფი (ABU SAYYAF GROUP)	Al Harakat Al Islamiyya	ფილიპინები (Philippines)	**06.10.01** (ცვლილებები 13.12.11)	Jemaah Islamiyah (JI)-ის მოკავშირე. ამჟამინდელი მეთაური – რადულან საჰირონი (Radulan Sahiron).

ვებ-გვერდზე განთავსებულ მონაცემთა ბაზებთან და რეესტრებთან დაკავშირებით, მსგავსი შინაარსის პასუხი მოგვაწოდა სახელმწიფო ხაზინამ, თუმცა აღნიშნული უწყების ვებ-გვერდზე განთავსებულია სტატისტიკის და ანალიტიკის განყოფილება, სადაც ელექტრონული სერვისის საშუალებით წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები. ამასთან, აღნიშნული უწყების ვებ-გვერდზე განთავსებულია აგრეთვე სახაზინო კოდების მონაცემთა ბაზა.

2) ჩვენი უწყების ვებ-გვერდზე მონაცემთა ბაზები და რეესტრები გამოქვეყნებული არ არის.
სახელმწიფო ხაზინის პასუხი მათ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე.

ინსტიტუტის მიერ საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების მონიტორინგის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმ მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების მოძიება, რომელთა შესახებ ინფორმაციის მიღება ინსტიტუტმა ვერ შეძლო აღნიშნული უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საშუალებით. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოვადგინოთ იმ უწყებების მონიტორინგის შედეგები, რომლებმაც პროექტის ფარგლებში ინსტიტუტის მოთხოვნებზე არ გასცეს დეტალური ინფორმაცია. მაგალითად, **სოციალური მომსახურების სააგენტოს** შემთხვევაში, რომელმაც ინსტიტუტს არ მიაწოდა მის გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ჩამონათვალი, ვებ-გვერდის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი სტატისტიკური მონაცემთა ბაზები რომელსაც აღნიშნული უწყება აწარმოებს. მათ შორისაა სტატისტიკური ინფორმაცია: პენსიის, კომპენსაციის, აკადემიური სტიპენდიის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, მიზნობრივი სოციალური დახმარების, საარსებო შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის, ჯანმრთელობის დაზღვევის და სხვა სოციალური პროგრამების ბენეფიციარებისა და მათთვის გადარიცხული თანხების შესახებ.



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შემთხვევაში, რომელმაც უპასუხოდ დატოვა IDFI-ის მოთხოვნები მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ, ვებ გვერდზე წარმოდგენილია ქონების და ბიზნესის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემთა ბაზები.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების მონიტორინგის ფარგლებში ინსტიტუტის მიერ შესწავლილი იქნა აგრეთვე, მათ გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით შექმნილი გარკვეული სახის ელექტრონული სერვისები (აპლიკაცია, ელექტრონული სტატისტიკის მოდული, ელექტრონული რეესტრი).

მაგალითად, **შემოსავლების სამსახური** გვთავაზობს ე.წ. ბიზნეს რუკას, სადაც რეგიონების მიხედვით ელექტრონულად დატანილია გადასახადის გადამხდელთა სტატისტიკური მონაცემები. **საქართველოს პარლამენტის აპარატი** - მაჟორიტარი დეპუტატების, **ენერგეტიკის სამინისტრო** - უშუქო სოფლების, **დაცული ტერიტორიების სააგენტო** - დაცული ტერიტორიების, **შინაგან საქმეთა სამინისტრო** - ოჯახში ძალადობის სტატისტიკურ და საპატრულო პოლიციის ოფისების რუკებს, სადაც დატანილია შესაბამისი მონაცემები.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის შემთხვევაში მათ გამგებლობაში არსებულ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ელექტრონული სტატისტიკის პორტალი, სადაც თავმოყრილია როგორც ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე ტურისტებისათვის საინტერესო სხვადასხვა სახის მონაცემთა ბაზები, მათ შორის რესტორნების, მუზეუმების და სხვა დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია.



სრულყოფილად, საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ ინფორმაცია, რომელთა განთავსებაც შესაძლებლად მიგვაჩნია ღია მონაცემების პორტალზე, წარმოდგენილია *დანართი N1-ში.*

ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი

2011 წლის ივნისიდან საქართველოში ამოქმედდა კანონი ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ. ამ კანონის შექმნის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს საჯარო სექტორში არსებული რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნა, ასევე რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების შექმნის, გამოყენებისა და შეცვლის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება და მოწესრიგება, მათი წარმოების წესების სტანდარტიზაცია და რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების სფეროში სახელმწიფოს ინფორმაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კანონმა ასევე დაამკვიდრა ბევრი ისეთი ტერმინი რაც აუცილებელია ქვეყანაში ერთიანი სტანდარტებისა და სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკის განსაზღვრისთვის. მაგ. კანონის ტერმინთა განმარტების მიხედვით:

მონაცემთა ბაზა არის სისტემური ან მეთოდური წესით დალაგებული ნაწარმოებების ან/და სხვა მონაცემებისა და მასალების კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით. ეს ტერმინი არ გულისხმობს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საშუალებებით ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების დროს.

რეესტრი ,,ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონით განიმარტება როგორც „საგნების, სახელების, ქმედებების ან სხვა ინფორმაციის ფორმლაური ან/და ოფიციალური ჩანაწერი“. შესაბამისად, რეესტრი წარმოადგენს ცნობილი ფაქტების, გაზომვადი ერთეულებისა და ინდიკატორების აზრობრივ ერთობლიობას, რომლის შემდგომი დაყოფა მას ლოგიკურად გამოუსადეგარს ხდის ბიზნეს–პროცესისათვის.

,,ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადეგნილია რეესტრის, მონაცემთა ბაზის, მომსახურების ან ინფორმაციული სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილების, განვრცობის, კომბინირების, გაუქმების, განადგურების, არქივირებისა და გადაცემის რეგისტრაციის ვალდებულება. ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მონაცემთა ბაზის თუ რეესტრის შექმნიდან არაუგვიანეს 30 დღეში, ხოლო გაუქმებამდე 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ **სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“.** ამავე კანონის მიხედვით მონაცემთა გაცვლის სააგენტოს უფლება აქვს დაწესებულებიდან მიღებული შეტყობინების შემდგომ, მას რეკომენდაციით მიმართოს თავი შეიკავონ კონკრეტული მონაცემთა ბაზის შექმნისგან თუ გაუქმებისგან. ანუ

კანონით არა მხოლოდ განისაზღვრა მონაცემთა ბაზების თუ რეესტრების აღწერის ვალდებულება, არამედ ასევე დაწესდა კონკრეტული პროცედურები მათი განვითარების, ცვლილების თუ გაუქმების შემთხვევისთვის.

მნიშვნელოვანია ასევე, აღინიშნოს, რომ კანონის მიხედვით რეესტრის სუბიექტები არიან ყველა ადმინისტრაციული ორგანო, შესაბამისად ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ასევე, რეესტრის სუბიექტებს წარმოადგენენ სამედიცინო ან ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებები რომელებიც ახორციელებენ მონაცემების შექმნას, შეცვლას, წაშლას ან განადგურებას. აქედან გამომდინარე კანონის მოქმედება ვრცელდება თითქმის ყველა საჯარო დაწესებულებაზე და კანონის სრულყოფილად აღსრულების შემთხვევაში ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში თავმოყრილი უნდა იყოს სრული ინფორმაცია იმ აქტივების შესახებ რაც მონაცემთა ბაზების, რეესტრების თუ სერვისების სახით გააჩნია საჯარო სექტორს.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად ეფექტურად ხდება 2011 წელს მიღებული კანონის აღსრულება და ზოგადად როგორ მიმდინარეობს საქართველოს ერთიანი სახელმწიფო რეესტრის კონცეფციის ჩამოყალიბება, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილით მიმართა სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“. კერძოდ, ჩვენ მიერ მოთხოვნილი იქნა შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული რეესტრებისა და მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი, მათი დანიშნულება და აღწერა;
2. ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შემოსული შეტყობინებების ასლები;
3. ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შემოსული შეტყობინებების ასლები;
4. ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ასლები.

სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით **2015 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით ერთიან სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებული იყო 345 რეესტრი, რომელიც იწარმოებოდა 52 საჯარო დაწესებულების მიერ.** მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ყველაზე მეტი რეესტრი რეგისტრირებული იყო ქალაქ თბილისის მერიის - 78, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს - 38, ნოტარიუსთა პალატის - 27, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს - 21, სურსათის ეროვნული სააგენტოსა - 13 და ეროვნული ბანკის 11 მიერ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 345 რეესტრიდან 126 რეგისტრირებული იქნა 2012 წელს, ხოლო 219 - 2011 წელს. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის შემდგომ საჯარო დაწესებულებების მიერ ახლად შექმნილი ან განახლებული რეესტრების ასახვა ერთიან სახელმწიფო რეესტრში აღარ მომხდარა. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ერთიან სახელმწიფო რეესტრში, საკუთარი მონაცემები და ინფორმაციული აქტივები არ ქონდა რეგისტრირებული საქართველოში მოქმედ ადმინისტრაციული ორგანოების უმეტესობას.

პროექტის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს გარდა ერთიან სახელმწიფო რეესტრში განთავსებული რეესტრებისა და მონაცემთა ბაზების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით IDFI-იმ მიმართა აგრეთვე 106 საჯარო დაწესებულებას. აღნიშნული უწყებებიდან 13 საჯარო დაწესებულებამ ინსტიტუტს აცნობა იმ რეესტრების შესახებ, რომელიც მათ მიერ ერთიან სახელმწიფო რეესტრში განთავსდა 2011-2012 წლებში. ხოლო დანარჩენი უწყებების შემთხევაში ინსტიტუტს განემარტა, რომ არ ქონდათ მონაცემები განთავსებული ან ინსტიტუტის მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

106 საჯარო დაწესებულებებისათვის გაგზავნილ მოთხოვნებზე, რომელიც ეხება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაცემთა ბაზების და რეესტრების შექმნასთან და გაუქმებასთან დაკავშირებით მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან კომუნიკაციას, მხოლოდ **ფინანსური მონიტორინგის სამსახურის** შემთხვევაში ეცნობა ინსტიტუტს, რომ 2012-2015 წლებში აღნიშნული შეტყობინებები გაგზავნილია ერთიანი სახელმწიფო რეესტრის პორტალის მეშვეობით, თუმცა შეტყობინებების ასლები არ იქნა მოწოდებული. დანარჩენი უწყებების შემთხევაში ინსტიტუტს განემარტა, რომ მსგავსი შეტყობინებები არ გაგზავნილა ან აღნიშნული მოთხოვნები უპასუხოდ იქნა დატოვებული.

საჯარო დაწესებულებებიდან მონაცემთა ბაზების და რეესტრების წარმოებასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაცია, ნათლად აჩვენებს, რომ აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემებია საქართველოს საჯარო დაწესებულებებში. მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების წარმოებასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებებში არსებული სირთულეები უკავშირდება, როგორც საკითხების არსის და მნიშვნელობის გაცნობიერებას (მაგალითად, 13 დაწესებულებამ ინსტიტუტს აცნობა, რომ მათ მიერ არანაირი სახის მონაცემთა ბაზა და რეესტრი არ იწარმოება, რაც ბადებს კითხვის ნიშნებს აღნიშნული უწყებების მიერ მონაცემთა ბაზის თუ რეესტრის არსის აღქმასთან დაკავშირებით). ასევე, ჩნდება კითხვის ნიშნები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით (მაგალითად, ერთიანი სახელმწიფო რეესტრის მიხედვით 2011 წელს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შეიქმნა ორი მონაცემთა ბაზა. დღეის მდგომარეობით როგორც ინსტიტუტს განუმარტეს მათ მიერ არ ხდება მონაცემთა ბაზების წარმოება, შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული ბაზების გაუქმების შესახებ შეტყობინებები 2012-2015 წლებში უნდა

გაეგზავნათ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის, რასაც მათივე ინფორმაციით ადგილი არ ჰქონია).

სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია ძალიან ბევრი საინტერესო მონაცემთა ბაზა, რომელთა პროაქტიული ხელმისაწვდომობაც ღია მონაცემთა პორტალის (www.data.gov.ge) მეშვეობით, კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდიდა აღნიშნულ ელექტრონულ რესურს და ხელს შეუწყობდა დაინტერესებული საზოგადოების, მკვლევარების, დეველოპერების ჩართულობას მის განვითარებაში. მაგალითის სახით ქვევით ჩვენ გვინდა მოვიყვანოთ ის რეესტრები, რომელთა გამოქვეყნებაც ღია მონაცემთა სახით შესაძლებელი არის www.data.gov.ge-ზე.

ორგანიზაცია	რეესტრები
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	დიასპორული ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა
	საზღვარგარეთ არსებული ქართული საკვირაო და საჯარო სკოლების, ქართული ენის შემსწავლელი კურსების მონაცემთა ბაზა
იურიდიული დახმარების სამსახური	მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი
სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრი
საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	სპორტული ორგანიზაციების, საზოგადოებებისა და ბაზების რეესტრი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტი, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის სანებართვორეესტრი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრი
საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროების ნუსხა
საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	საქართველს ენერგო სექტორში მიმდინარე საინვესტიციო პროექტები

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალური ძეგლების სახელმწიფო რეესტრი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მემკვიდრეობის ძეგლებზე და არქეოლოგიურ სამუშაოებზე გაცემული ნებართვების რეესტრი
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის მონაცემები
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	საერთაშორისო უსწორმასწორობის კოეფიციენტი (IRI)
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ხიდების, გვირაბების, გალერეების ნუსხა
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	ლაბორატორიული კვლევის შედეგების გაცემის რეესტრი
საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო	სასტუმროებისა, ჰოსტელებისა და საოჯახო სასტუმროების ბაზა
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ფარმაცევტული პროდუქტების უწყებრივი რეესტრი
საქპატენტი	გამოგონებების, დიზაინისა და ახალი ჯიშების რეესტრი
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების (კვოტირებული) სანებართვორეესტრი
სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	საქართველოს დაცულტერიტორიებზე არსებული სერვისები
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	მუნიციპალური განვითარების ფონდის ტენდერების რეესტრი
სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	მიმდინარე დემოგრაფიული გამოკვლევა
სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	საგარეო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა
სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკა
სსიპ - ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების რეესტრი

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების ელექტრონული რეესტრი
სურსათის ეროვნული სააგენტო	ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოებისა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება-დაფასოების ლიცენზიის რეესტრი
სურსათის ეროვნული სააგენტო	წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის სერტიფიკატის რეესტრი
სურსათის ეროვნული სააგენტო	მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელებისგამოყენების რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემების შესახებ დასკვნის რეესტრი
სურსათის ეროვნული სააგენტო	ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციის რეესტრი
სურსათის ეროვნული სააგენტო	პესტიციდების რეგისტრაციის რეესტრი
სურსათის ეროვნული სააგენტო	აგროქიმიკატების რეგისტრაციის რეესტრი
ქონების მართვის სააგენტო	ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერგამოცემული აქტები სრეესტრი

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ სხვადასხვა უწყებებისთვის საქართველოს ერთიან სახელმწიფო რეესტრში მონაცემთა რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შემდგომ, ზოგიერთმა ადმინისტრაციულმა ორგანომ 2015 წელს სისტემაში დაარეგისტრირა ახალი რეესტრები.

ფაილური სისტემათა კატალოგების რეესტრი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
ინსპექტირებების და კონსულტაციების რეესტრი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
სტატისტიკური მონაცემთა ბაზა	საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო
ადგილობრივი მიმწოდებლების მონაცემთა ბაზა	საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო
ტურისტებისათვის საჭირო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა	საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო
საინფორმაციო ბაზა	საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო

ბენეფიციარების მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის კომპიუტერული პროგრამა	სსიპ-ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
რესტრუქტურიზებული ვალდებულებების ერთიანი რეესტრი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მქონე პირთა სია	სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
სახელმწიფო საგარეო ვალის და საგარეო რესურსებიდან მიღებული გადასესხებული სესხების რეესტრი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
სახელმწიფო საშინაო ვალის რეესტრი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საგარეო ვალისა და საგარეო წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების რეესტრი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
სამინისტროებისა და უწყებების მიერ მისაღები ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის ელექტრონული ბაზა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტები	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
ხე-ტყის დამზადების ბილეთები	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
ტყეკაფვის პასპორტები	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
სპეციალური ფირნიშები	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი საამქროები	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
სერვისები	
ბენეფიციარების სადღეღამისო მომსახურება	სსიპ-ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

აღნიშნული ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია და მიუთითებს იმაზე, რომ შესაქმნელია შესაბამისი მექანიზმი იმისთვის, რომ რეესტრის შევსებას არ ქონდეს ხარვეზები და აღნიშნული არ იყოს დამოკიდებული, ვინმეს ნებაზე არამედ იყოს კარგად რეგლამენტირებული და გააზრებული ვალდებულება ყველა დაწესებულებისთვის.

დასკვნა

IDFI- ის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, ღია მონაცემების პორტალზე დღეის მდგომარეობით გამოქვეყნებულ ღია მონაცემთა რაოდენობა (117 ღია მონაცემი) რეალურად არ შეესაბამება საქართველოს საჯარო დაწესებულებებში აღნიშნული კუთხით არსებულ რესურსს. ამ მოსაზრებას ამყარებს ის მოცემულობა, რომ მხოლოდ 72 საჯარო დაწესებულებიდან მათ გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ მოწოდებული მონაცემებიდან და ვებ-გვერდების მონიტორინგის შედეგად IDFI-ის მიერ შეირჩა 162 იმგვარი მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დღეის მდგომარეობით არ არის წარმოდგენილი და მიზანშეწონილია მათი ღია მონაცემების პორტალზე განთავსება.

www.data.gov.ge-ის შექმნიდან დღემდე აღნიშნულ პორტალზე მონაცემების განთავსების დაბალი მაჩვენებელი, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია შესაბამისი მექანიზმის დანერგვა, რომელიც საჯარო დაწესებულებებს დაავალდებულებს მათ გამგებლობაში არსებული მონაცემთა ბაზების აღნიშნულ პორტალზე განთავსებას. ამ მექანიზმის შემოღების წინაპირობას წარმოადგენს ის ფაქტიც რომ, IDFI-ის მიერ, საჯარო დაწესებულებებში ღია მონაცემების პორტალზე მონაცემების განთავსებასთან დაკავშირებით გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე, მთელმა რიგმა საჯარო დაწესებულებამ განმარტეს, რომ მათ საქართველოს კანონმდებლობით აღნიშნულის ვალდებულება არ გააჩნიათ. აუცილებლად, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბოლო დროს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად დამკვიდრდა ასეთი საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა. მაგალითად, უკრაინის, ხორვატიის, პაკისტანის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების ბოლო პერიოდში მიღებული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონებში ცალკე არის გამოყოფილი ღია მონაცემთა პორტალების და მათზე ღია მონაცემთა განთავსების საკითხები. [9] საქართველოში განსხვავებით უკრაინისა, არ არის განსაზღვრული არანაირი

[9] 2015 წლის 9 აპრილს უკრაინის უმაღლესმა რადამ ცვლილებები შეიტანა „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“ კანონში. აღნიშნული ცვლილებებით უკრაინის კანონმდებლობაში გაჩნდა ტერმინი ღია მონაცემები. კერძოდ, **ღია მონაცემები განმარტებულია, როგორც უკრაინის ელ-მმართველობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ შექმნილ და ადმინისტრირებულ ღია მონაცემთა ერთიან ვებ-პორტალზე იმგვარი ფორმატით გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა მისი თავისუფლად დამუშავებისა და კონკრეტული ინფორმაციის გამოცალკევების საშუალებას.** ცვლილებების თანახმად ღია მონაცემების კატეგორიას დაექვემდებარება შემდეგნი ინფორმაცია:

- მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრი;
- ტელე-რადიო მაუწყებელთა რეესტრი;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების რეესტრი;
- ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრი;
- ინფორმაცია ადგილობრივ თვითმმართველობათა ბიუჯეტის შესახებ;
- სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობათა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების არ შესრულებისთვის, რაც ხშირად განსაზღვრავს იმას, რომ რიგი საჯარო დაწესებულებებისა საერთოდ არ ასრულებენ და მხოლოდ მოჩვენებითად ასრულებენ საკუთარ უფლება-მოვალეობებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს, რომ **საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს, აგრეთვე ვალდებულებას ინფორმაციის ღია მონაცემების ე.ი. შესაბამის დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნებისა.** მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობამ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნა ღია მონაცემთა ერთიანი პორტალი (www.data.gov.ge), თუმცა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ კვლევის შედეგების მიხედვით ვებ-პორტალი დღემდე არ არის სრულად შევსებული საჯარო მონაცემებით. **აღნიშნული ნაწილობრივ სწორედ იმით არის განპირობებული, რომ არსებული კანონმდებლობა არ შეიცავს ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნების ვალდებულებას.** როგორც ამას უკრაინის მაგალითი ცხადყოფს, მნიშვნელოვანია პირველ ეტაპზე მიღებულ იქნეს შესაბამისი ნორმატიული აქტი, რომელიც დეტალურად დაარეგულირებს ღია მონაცემებთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო კანონით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში დააწესებს შესაბამის სანქციებს. ამასთან აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფო ორგანო, რომელსაც დაეკისრება ღია მონაცემთა გამოქვეყნების ვალდებულების შესრულებისა და ინფორმაციის სიზუსტის მონიტორინგის ვალდებულება. დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში აღნიშნულ ორგანოს უფლება უნდა ქონდეს სანქციები დააკისროს კონკრეტულ პირებს.

აღსანიშნავია, რომ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მთავრობას აღებული აქვს ვალდებულება მიიღოს „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. აღნიშნული კანონის პირველი პროექტი, სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ (იუსტიციის სამინისტრო, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, ექსპერტები და IDFI-ი) მომზადდა 2014 წელს. **კანონპროექტი მათ შორის ითვალისწინებს ღია მონაცემთა ტერმინის განსაზღვრას, ღია მონაცემთა ერთიანი პორტალის შექმნას, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების კანონში გაწერას, აგრეთვე ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის სახით, შესაბამისი ზედამხედველი ორგანოს შექმნას.** შესაბამისად, კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა საქართველოში არსებულ მდგომარეობას ღია მონაცემების სტანდარტების დამკვიდრებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით

საჯარო დაწესებულებებიდან მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ იდენტური შინაარსის მოთხოვნებზე მიღებული პასუხები, ნათლად აჩვენებს, რომ სხვადასხვა უწყებაში მნიშვნელოვნად განსხვავებულია მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების დეფინიციების აღქმა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე მონაცემთა

ერთობლიობას, ნაწილი დაწესებულებისა მიიჩნევს მათ გამგებლობაში დაცულ მონაცემთა ბაზად თუ რეესტრად, ხოლო ნაწილი არა. ხსენებული პრობლემას ეხმაურება აგრეთვე, ის ფაქტი, რომ მთელმა რიგმა საჯარო დაწესებულებებმა შესაბამის მოთხოვნაზე ინსტიტუტს განუმარტეს, რომ მათ გამგებლობაში მონაცემთა ბაზები და რეესტრები არ ირიცხება, თუმცა მათი ვებ-გვერდების მონიტორინგის შედეგად ინსტიტუტის მიერ გამოაშკარავებულია მთელი რიგი მონაცემთა ბაზები თუ რეესტრები, რომლებსაც აღნიშნული უწყებები ფლობენ და აწარმოებენ.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოში არსებული ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ კანონის პრაქტიკაში ინპლემენტაცია. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2012 წლის შემდგომ საჯარო დაწესებულებების მიერ არ განხორციელებულა კანონის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურები. კერძოდ, ერთიან რეესტრში არ დარეგისტრირებულა მათ გამგებლობაში არსებული რეესტრები, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან არ გაგზავნილა რეესტრის შექმნასთან თუ გაუქმებასთან დაკავშირებით შეტყობინებები. 2015 წელს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებამ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაცია განახორციელა მხოლოდ, IDFI-ის მიერ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნის გაგზავნის შემდგომ.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ IDFI-ის მიერ განხორციელებული გამოკითხვების თუ აღნიშნულ საკითხებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრების მიხედვით, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საზოგადოების ცნობიერება ღია მონაცემების პორტალთან დაკავშირებით საკმაოდ დაბალია და საჭიროებს შესაბამისი სამთავრობო თუ საზოგადოებრივ მხარდაჭერას.

რეკომენდაციები

საქართველოში ღია მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით კვლევაში განხილული პრობლემების აღმოსაფხვრელად ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

- საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცება სადაც განსაზღვრული იქნება საჯარო სექტორის ღია მონაცემების მართვისა და სავალდებულო გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტები;

- საქართველოს მთავრობამ და იუსტიციის სამინისტრომ დააჩქარონ საქართველოს პარლამენტში „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონპროექტის წარდგენა სადაც გათვალისწინებული იქნება საქართველოში ღია მონაცემთა გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის საკითხები;

- სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ შეიმუშაოს შესაბამისი სახელმძღვანელო და ტრენინგ პროგრამა, რომელიც საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებს დაეხმარება მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების დეფინიციების მკვეთრ განსაზღვრაში, ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულებაში, www.data.gov.ge-ზე ღია მონაცემთა გამოქვეყნების, განახლებისა და მართვის გაუმჯობესებაში;

- საქართველოს მთავრობამ და სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ ღია მონაცემების პორტალის და მისი პოტენციური სარგებელის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია;

- პორტალ www.data.gov.ge-ზე ღია მონაცემები გამოქვეყნდეს CSV, XML, Excel ფორმატში, რაც მომხმარებლებს მათ შორის დეველოპერებს მისცემს მეტ შესაძლებლობას შექმნან აპლიკაციები და ელექტრონული სერვისები და მიიღონ სხვა სახის სარგებელი.

- საჯარო დაწესებულებებმა მაქსიმალურად უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული და დაგეგმილი მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების იმგვარი ფორმირება და მართვა, რომ შესაძლებელი იქნას მათი ღია მონაცემების პორტალზე განთავსება;

- საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზებიდან და რეესტრებიდან პერსონალური ან/და სხვა დახურული ინფორმაციის გამოცალკევება და ღია მონაცემთა ფორმატში მათი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა, ხოლო ტექნიკურად აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში კონკრეტულ საკითხებზე აწარმოონ მაქსიმალურად დეტალური სტატისტიკა;

- საჯარო დაწესებულებებმა შექმნან საზოგადოებრივი გამოკითხვის ელექტრონული მოდულები, რითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება უწყების საქმიანობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე მონაცემთა ღიაობასთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. აღნიშნული კომუნიკაციის პროაქტიული სტრატეგია უნდა დაინერგოს ყველა საჯარო დაწესებულების შემთხვევაში;

- ყველა საჯარო დაწესებულებამ, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევის „ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა საქართველოში“ შედეგად იდენტიფიცირებული (დანართი 1 და დანართი 2) მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების ღია მონაცემთა პორტალზე (www.data.gov.ge) განთავსება.

დანართი N1

საჯარო დაწესებულებებში დაცული მონაცემთა ბაზები/რეესტრები, რომელთა განთავსებაც მიზანშეწონილია ღია მონაცემების პორტალზე		
ფინანსთა სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
1	სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალების შესახებ მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
2	სამინისტროებისა და უწყებების მიერ მისაღები ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
3	დავების განხილვის რეესტრი	ცენტრალური აპარატი
4	ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრი	შემოსავლების სამსახური
5	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის რეესტრი	შემოსავლების სამსახური
6	საქონლის შენახვის ადგილების კლასიფიკატორი	შემოსავლების სამსახური
7	ოქროს სიის მონაწილე პირთა რეესტრი	შემოსავლების სამსახური
8	გადასახადის გადამხდელთა რეესტრი	შემოსავლების სამსახური

9	საქველმოქმედო ორგანიზაციების რეესტრი	შემოსავლების სამსახური
10	მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელთა რეესტრი	შემოსავლების სამსახური
11	ფიქსირებული გადასახადის გადამხდელთა რეესტრი	შემოსავლების სამსახური
12	საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიანი ელ. რეესტრი	შემოსავლების სამსახური
13	დღგ-ს გადამხდელ პირთა რეესტრი	შემოსავლების სამსახური
14	საკონტროლო/სალარო აპარატების რეესტრი	შემოსავლების სამსახური
15	სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების ელ. რეესტრი	მომსახურების სააგენტო
16	სააგენტოსთვის განსაკარგავად გადაცემული ქონების ელ. რეესტრი	მომსახურების სააგენტო
17	მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალი	მომსახურების სააგენტო
18	ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მქონე პირთა რეესტრი	საფინანსო ანალიტიკური სამსახური
19	სახელმწიფო, ავტონომიური და თვითმმართველობის ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ მონაცემთა ბაზა	სახაზინო სამსახური
20	სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ მონაცემთა ბაზა	სახაზინო სამსახური
21	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრი	სახაზინო სამსახური
22	სასესხო დავალიანებების რეესტრი	სახაზინო სამსახური
შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
23	სამინისტროს გამგებლობაში არსებული სხვადასხვა კატეგორიის დაკარგული/ნაპოვნი ობიექტების აღრიცხვის მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
24	სამინისტროს გამგებლობაში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომხდარი კონფლიქტების აღრიცხვის მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
25	საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოში გამოძევებულ (ან დეპორტაციის მომლოდინე) საქართველოსა და უცხო ქვეყნების მოქალაქეთა აღრიცხვის მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
26	საავტომობილო გზების, ხიდების და გვირაბების მონაცემთა ბაზა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
27	საავტომობილო გზებზე მოძრაობის ინტენსივობის მონაცემთა ბაზა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
28	საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი გზების სივრცითი მონაცემები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
29	საერთაშორისო უსწორმასწორობის კოეფიციენტების მონაცემთა ბაზა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
30	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების მონაცემთა ბაზა	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
31	სარეაბილიტაციო, პერიოდული შეკეთების, გამაგრებისა და სამშენებლო სამუშაოების შესახებ რეესტრები	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
32	ტურისტებისათვის საინფორმაციო მონაცემთა ბაზა (კვების ობიექტები, საელჩოები, მუზეუმები, გალერეები, სავაჭრო ცენტრები, თეატრები, ტრანსპორტი, გასართობი ობიექტები, ტურისტული კომპანიები, ღვინის მარნები და სხვა ობიექტები)	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
33	ავტოსადგურების რეესტრი	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
34	საერთაშორისო საავტომობილო სამგზავრო რეგულარული გადაყვანის მწარმოებელი გადამზიდველების რეესტრი	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
35	ECMT-ს გრძელვადიანი/მოკლევადიანი ნებართვის მფლობელი გადამზიდველები	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
36	საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
37	საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრი	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
38	საქართველოს აეროდრომების სახელმწიფო რეესტრი	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
39	სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოების უწყებრივი რეესტრი	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
40	აკრედიტირებულ პირთა რეესტრი	აკრედიტაციის ცენტრი

საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემა		
N	მონაცემთა ბაზა/ რეესტრი	მფლობელი
41	საქართველოში აკრედიტირებული საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური მისიების და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
42	საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
43	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების რეესტრი	ცენტრალური აპარატი
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემა		
N	მონაცემთა ბაზა/ რეესტრი	მფლობელი
44	ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემთა ბაზები	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
45	საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემთა ბაზები	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
46	სკოლის გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემთა ბაზები	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
47	სტუდენტთა საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემთა ბაზები	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
48	ეროვნული სასწავლო ოლიმპიადასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემთა ბაზები	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
49	საქმიანობა შეწყვეტილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
50	უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რეესტრი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
51	არა ავტორიზებული დაწესებულებების რეესტრი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
52	უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

53	სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რეესტრი	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
54	საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოვლენილი დარღვევების მონაცემთა ბაზა	მანდატურის სამსახური
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
55	გარემოსდაცვითი პროექტების ბაზა	ცენტრალური აპარატი
56	საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებების რეესტრი	ცენტრალური აპარატი
57	ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეესტრი	ცენტრალური აპარატი
58	ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების რეესტრები	ცენტრალური აპარატი
59	სასარგებლო წიაღისეულის საბადოები და გამოვლინებები	გარემოს ეროვნული სააგენტო
60	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უწყებრივ-სალიცენზიო რეესტრი	გარემოს ეროვნული სააგენტო
61	ჰიდროლოგიური მონაცემთა ბაზა	გარემოს ეროვნული სააგენტო
62	მეტეოროლოგიური მონაცემთა ბაზა	გარემოს ეროვნული სააგენტო
63	გარემოს ხარისხის მონაცემთა ბაზა	გარემოს ეროვნული სააგენტო
64	დაცულ ტერიტორიებში ვიზიტორთა შესახებ სტატისტიკური მონაცემთა ბაზა	დაცული ტერიტორიების სააგენტო
65	ტყის რესურსების მონაცემთა ბაზა	დაცული ტერიტორიების სააგენტო
66	გარემოს დაცვითი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
67	გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ბაზა	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემა		
N	მონაცემთა ბაზა/ რეესტრი	მფლობელი
68	საქართველოში რეგისტრირებული ვეტერინალური საშუალებების და პრეპარატების მონაცემთა ბაზა	სურსათის ეროვნული სააგენტო
69	სააგენტოს მიერ ინსპექტირებული საწარმოების მონაცემთა ბაზა	სურსათის ეროვნული სააგენტო
70	პესტიციდებისა და აგროქიმიკატების იმპორტიორთა რეესტრი	სურსათის ეროვნული სააგენტო
71	პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების რეესტრი	სურსათის ეროვნული სააგენტო
72	არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხა საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო	სურსათის ეროვნული სააგენტო
73	ევროკავშირის წევრი ქვეყნების სურსათის მწარმოებლების მონაცემთა ბაზა	სურსათის ეროვნული სააგენტო
74	პროდუქციის მონაცემთა ბაზა, რომელსაც ესაჭიროება ნებართვები	სურსათის ეროვნული სააგენტო
75	რუსეთის ფედერაციაში საექსპორტოდ დაშვებული პროდუქციის მონაცემთა ბაზა	სურსათის ეროვნული სააგენტო
76	ღვინის კომპანიების და მარნების მონაცემთა ბაზა	ღვინის ეროვნული სააგენტო
77	საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის სტატისტიკური მონაცემთა ბაზა	ღვინის ეროვნული სააგენტო
78	სასოფლო სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების რეესტრი	სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები განვითარების სააგენტო
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემა		
N	მონაცემთა ბაზა/ რეესტრი	მფლობელი
79	წამლის რეესტრის მონაცემთა ბაზა	სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო
80	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა აღრიცხვისა და ანალიზის პროგრამის სტატისტიკური მონაცემთა ბაზა	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

81	ჯანდაცვის პროგრამებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემთა ბაზები	სოციალური მომსახურების სააგენტო
82	სახელმწიფო გასაცემლების (პენსია, კომპენსაცია, სუბსიდია და სხვ.) დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემთა ბაზები	სოციალური მომსახურების სააგენტო
83	სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემთა ბაზები.	სოციალური მომსახურების სააგენტო
ენერგეტიკის სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
84	საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ჰიდროელექტრო სადგურების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
85	ენერგოსექტორში მიმდინარე საინვესტიციო პროექტების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
86	საქართველოს ენერგოსექტორში არსებული ინვესტორი კომპანიების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
87	გაზიფიცირებისა და გამრიცხვილიანების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
88	ჰიდრო და თბოელექტროსადგურების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
89	ელექტროენერგიის გამომუშავების, მომხმარებლებზე მიწოდების, ექსპორტის და იმპორტის მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
90	ბუნებრივი აირის მიწოდება-მოხმარების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
91	უშუქო სოფლების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
92	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეესტრი	ცენტრალური აპარატი
93	კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების რეესტრი	ცენტრალური აპარატი
94	არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეესტრი	ცენტრალური აპარატი
95	საქართველოს მუზეუმების რეესტრი	ცენტრალური აპარატი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
96	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სპორტული ობიექტების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
97	სპორტული სტატისტიკის მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
98	საგრანტო კონკურსებში დაფინანსებული პროექტების მონაცემთა ბაზები	ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
იუსტიციის სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
99	მოვალეთა რეესტრი	აღსრულების ეროვნული ბიურო
100	კერძო აღმასრულებლების რეესტრი	აღსრულების ეროვნული ბიურო
101	სააღსრულებო საქმეების რეესტრი	აღსრულების ეროვნული ბიურო
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
102	დევნილთა მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
103	რეპატრიანტების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
104	ლტოლვილთა მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
105	ეკომიგრანტი ოჯახების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
106	ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დეკლარაციების მონაცემთა ბაზა	ცენტრალური აპარატი
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემა		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
107	C ჰეპატიტით დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზები	ცენტრალური აპარატი

სხვა საჯარო დაწესებულებები		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**მფლობელი**
108	საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზა (ექსპორტი-იმპორტი)	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
109	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა ბაზა	
110	სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მონაცემთა ბაზა	
111	მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2002 წლის მონაცემთა ბაზა	
112	2004 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის ბაზა	
113	2014 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემთა ბაზა	
114	შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის ბაზა	
115	"მონაცემები შრომის შესახებ" გამოკვლევის მონაცემთა ბაზა	
116	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ბაზა	
117	თეატრების მუშაობის შესახებ მონაცემთა ბაზა	
118	მუზეუმების მუშაობის შესახებ მონაცემთა ბაზა	
119	ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევის ბაზა	
120	უცხოელ ვიზიტორთა კვლევის ბაზა	
121	ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევის მონაცემთა ბაზა	
122	ფასების სტატისტიკის ბაზა	
123	PC Axis - საქსტატის მონაცემთა კომპიუტერული ბაზა	
124	სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასების ინდექსის რეესტრი	
125	მიმდინარე დემოგრაფიული გამოკვლევის რეესტრი	
126	სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების მონაცემთა ბაზა	სახალხო დამცველის აპარატი

127	სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზა	საქპატენტი
128	გეოგრაფიული აღნიშვნების მონაცემთა ბაზა	
129	ადგილწარმოშობის დასახელებების მონაცემთა ბაზა	
130	დიზაინების მონაცემთა ბაზა	
131	გამოგონებების მონაცემთა ბაზა	
132	სასარგებლო მოდელების მონაცემთა ბაზა	
133	მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების მონაცემთა ბაზა	
134	რადიო სიხშირის მინიჭების უწყებრივი რეესტრი	კომუნიკაციების ეროვნული კომისია
135	ლიცენზიების უწყებრივი რეესტრი	
136	ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრი	
137	რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრი	
138	საჩივრების რეესტრი	ცენტრალური საარჩევნო კომისია
139	ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზა	
140	მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი	იურიდიული დახმარების სამსახური
141	შავი სიის რეესტრი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
142	თეთრი სიის რეესტრი	
143	გაფრთხილებულ მიმწოდებელთა რეესტრი	
144	კანონპროექტების მონაცემთა ბაზა	საქართველოს პარლამენტი
145	პლენალურ სხდომებზე ხმის მიცემის მონაცემთა ბაზა	
146	მიღებულ კანონებზე კენჭისყრის შედეგების მონაცემთა ბაზები	

147	საცნობარო და ბიბლიოგრაფიული ელექტრონული გამოცემების რეესტრი	პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
148	ელექტრონული ბიბლიოთეკების რეესტრი	
149	ეროვნული გაზეთების კატალოგების რეესტრი	
150	წიგნების კატალოგის რეესტრი	
151	პერიოდული გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის რეესტრი	
152	ეროვნული დისერტაციებისა და ავტორეფერატების, მიკრო ფორმების, კომპაქტ-დისკების, კარტოგრაფიული გამოცემების, სანოტო გამოცემების, პლაკატის, ესტამპის და ფურცლოვანი გამოცემების კატალოგის რეესტრი	
153	საარჩევნო ადმინისტრაციის სერტიფიკატის მფლობელ პირთა მონაცემთა ბაზა	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
154	გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საგრანტო პროექტების მონაცემთა ბაზა	
155	შემუშავებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალების მონაცემთა ბაზა	
156	hr.gov.ge დამსაქმებლების და მათ მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების რეესტრი	საჯარო სამსახურის ბიურო
157	Declaration.gov.ge თანამდებობის პირთა რეესტრი	
158	Stajireba.gov.ge საჯარო დაწესებულებების მიერ განსაზღვრული სტაჟირების კვოტების შესაბამისი ვაკანსიების რეესტრი	
159	ბიუროს სერვისების მონაცემთა ბაზა ტარიფების მითითებით	სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
160	ნარკოლოგიური აღრიცხვის სტატისტიკური მონაცემთა ბაზა	
161	საეჭვო და ზღვარს ზემოთ გარიგებების შესახებ სტატისტიკური მონაცემთა ბაზა	ფინანსური მონიტორინგის სამსახური
162	მონიტორინგის განმახორციელებელი პირების რეესტრი	

შენიშვნა

დანართი N1-ით შემოთავაზებული მონაცემთა ბაზებიდან და რეესტრებიდან საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ პერსონალური ან/და სხვა დახურული ინფორმაციის გამოცალკევება და ღია მონაცემთა ფორმატში მათი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა, ხოლო ტექნიკურად აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში კონკრეტულ საკითხებზე აწარმოონ მაქსიმალურად დეტალური სტატისტიკური მონაცემთა ბაზები

დანართი N2

IDFI-ის გამოკითხვის მონაწილეების მიერ შემოთავაზებული მონაცემები, რომელთა ხელმისაწვდომობაც სურთ ღია მონაცემების პორტალზე		
N	**მონაცემთა ბაზა/ რეესტრი**	**სავარაუდო მფლობელი**
1	სამართლებრივი სტატისტიკის შინაარსის შემცველი მონაცემთა ბაზა	საქართველოს უზენაესი სასამართლო
2	საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენების ამსახველი გადაცემების ჩანაწერების მონაცემთა ბაზა	საზოგადოებრივი მაუწყებელი
3	შშმ პირთა მონაცემთა ბაზა	სოციალური მომსახურების სააგენტო
4	საავტომობილო გზებზე მომხდარი ავტოავარიების მდებარეობის შესახებ მონაცემების შემცველი ბაზა	შინაგან საქმეთა სამინისტრო
5	დევნილების ბინებით უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზა	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძლებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
6	მანქანებისა და მობილურის ნომრების მფლობელების მონაცემთა ბაზა	შინაგან საქმეთა სამინისტრო
7	ბაზრის წილების შესახებ ინფორმაცია	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
8	რეკრეაციული ზონების/პარკების აღრიცხვის მონაცემთა ბაზა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
9	თბილისში პროექტების დაფინანსების შესახებ მონაცემთა ბაზა	თბილისის მერია
10	კიბერუსაფრთხოების შესახებ მონაცემთა შემცველი ბაზა	მონაცემთა გაცვლის სააგენტო/ თავდაცვის სამინისტრო/ შინაგან საქმეთა სამინისტრო
11	გარემოსდაცვითი ინფორმაციების მონაცემთა ბაზა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
12	ავტორიზებული სასწავლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
13	სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზა	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
14	დანაშაულის სტატისტიკა რაიონებისა და დანაშაულის ტიპების მიხედვით	შინაგან საქმეთა სამინისტრო

15	გარემოზე ზემოქმედების ობიექტების აღრიცხვა-განთავსების მონაცემები	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
16	გამოცდებისა და მასწავლებლების სტატისტიკა	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
17	სოციალურ პროექტებში ჩართული ორგანიზაციების ბაზა	სოციალური მომსახურების სააგენტო
18	უძრავი ქონების რეალიზაციის ბაზა-ვიწრო ურბანული მიგრაციის დონეზე გაშლილი	ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
19	ბიზნესის დარგობრივი ანალიზის მონაცემთა ბაზა	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/საქსტატი
20	საწარმოების, საწყობებისა და სადისტრიბუციო კომპანიების მონაცემთა ბაზა	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
21	შიდა ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების მონაცემთა ბაზა	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
22	საფინანსო ორგანიზაციების მომხმარებელთა უფლებების დარღვევის სტატისტიკის შესახებ მონაცემების შემცველი ბაზა	საქართველოს ეროვნული ბანკი
23	კვლევითი საქმიანობის სტატისტიკა	აკადემიური დაწესებულებები
24	ტვირთბრუნვის დეტალური მონაცემთა ბაზა	სტატისტიკის ეროვნული სამსხური
25	აფხაზეთიდან დევნილების მონაცემთა ბაზა	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძლებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
26	რეკრეაციული ზონების/პარკების რაოდენობა და წლების მიხედვით მათი პროგრესისა და რეგრესის მაჩვენებელი მონაცემთა ბაზა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
27	ყოველწლიურად განბაჟებული ავტომობილების რაოდენობის მონაცემთა ბაზა	შინაგან საქმეთა სამინისტრო
28	ბიზნესთან და ინვესტორებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზები	სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ფინანსთა სამინისტრო
29	რეკრეაციული ზონების/პარკების აპლიკაცია	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო